

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების  
მარეგულირებელი  
ეროვნული კომისია

დამტკიცებულია კომისიის  
2008 წლის 28 მარტის  
№3/3 გადაწყვეტილებით

წლიური ანგარიში

2007 წელი

მარტი 2008 წელი

## სარჩევი

შესავალი	3
კომისიის წევრები	5
კომისიის აპარატი	7
ბიუჯეტი	8
ძირითადი ფუნქციების განხორციელება	8
ტარიფების დადგენა და რეგულირება	8
ლიცენზირება	14
სამართლებრივი უზრუნველყოფა	17
მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა	19
სერტიფიკაცია	21
საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა	23
ენერგეტიკული სექტორის მდგომარეობა	26
ელექტროენერგეტიკა	26
ბუნებრივი გაზის სექტორი	34
სამომავლო გეგმები	37
დანართები №1-14	38
დანართი №15: მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ანგარიში	

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

წინამდებარე ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (კომისიის) 2007 წლის საქმიანობის ძირითადი შედეგები. დროის ამ მონაკვეთში საქართველოს ენერგეტიკაში მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და ხარისხობრივი გაუმჯობესება განხორციელდა, რაშიც, თავისი წვლილი ცხადია, დარგის სახელმწიფოებრივმა რეგულირებამაც შეიტანა. 2007 წელს ენერგეტიკის განვითარებაში მომხდარი მიღწევებიდან, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკულმა სისტემამ 2007 წელს გასულ წლებთან შედარებით უკეთ იმუშავა. წლის განმავლობაში სულ გამოძეგვებულ იქნა 8169,5 მლნ კვტ.სთ ელექტროენერგია, რაც 10,1%-ით მეტია 2006 წლის მაჩვენებელზე.

2007 წელს ელექტრობალანსი უდევციტო იყო. ქვეყანაში წარმოებულ იქნა 192,2 მლნ.კვტ.სთ-ით მეტი ელექტროენერგია მის მოხმარებასთან შედარებით. ამან შესაძლებელი გახადა გასულ წელთან შედარებით 7,6-ჯერ გაზრდილიყო ელექტროენერგიის ექსპორტი, ხოლო 1,8-ჯერ შემცირებულიყო იმპორტი. გარკვეულწილად შემცირდა ელექტროენერგიის საერთო მოხმარებაც (-1,7%). რაც ძირითადად გამანაწილებელ კომპანიებში მისმა კლებამ განაპირობა (-2,3%). სამაგიეროდ, გაზარდეს ელექტროენერგიის მოხმარება პირდაპირმა მომხმარებელმა (+3,3%), რომელიც ზოგადად ეკონომიკის განვითარებაზე მიუთითებს (დანართი №7).

ცალკეული კომპანიებიდან ელექტროენერგიის მოხმარება შემცირდა „თელასში“ 4,2%-ით, კახეთის დისტრიბუციაში 7,2%-ით, „ენერგო-პრო ჯორჯიაში“ -3,8%-ით. ამ კომპანიებში ელექტროენერგიის მოხმარებამ 2007 წელს შესაბამისად შეადგინა 1995,8; 212,7 და 2448.4 მლნ.კვტ.სთ.

რაც შეეხება ელექტროენერგიის ექსპორტ-იმპორტს, აქ ასეთი მდგომარეობაა. 2007 წელს ექსპორტი განხორციელდა რუსეთში 300,3 მლნ.კვტ.სთ. (საერთო რაოდენობის 48,1%), თურქეთში-215,6 მლნ.კვტ.სთ. (34,4%), აზერბაიჯანში-109,6 მლნ.კვტ.სთ (17,5%). იმპორტირებული ელექტროენერგია მივიღეთ რუსეთიდან 176,9 მლნ.კვტ.სთ (საერთო რაოდენობის 40,8%), აზერბაიჯანიდან-107,4 მლნ.კვტ.სთ (24,8%), თურქეთიდან-149,0 მლნ.კვტ.სთ. (34,4%).

აღსანიშნავია, რომ 2007 წელს აფხაზეთს მიეწოდა 1255,3 მლნ.კვტ.სთ. ელექტროენერგია, რომელიც 2006 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 6.2%-ით მეტია. ელექტროენერგიის აღნიშნული რაოდენობა ენგურჰესის 2007 წლის გამოძეგვების 43,6%-ს შეადგენს. შესაბამისი მაჩვენებელი კი 2006 წელს 71,5%-ს უდრიდა.

გარკვეული ცვლილება განიცადა ბუნებრივი გაზის ბალანსმა. არსებული მონაცემებით, 2007 წელს საკუთრივ საქართველოს მიეწოდა თითქმის 1684 მლნ.კუბ.მ. გაზი, რომელიც 10,5%-ით ნაკლებია 2006 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. ბუნებრივი გაზის აღნიშნული ოდენობა ასევე ნაკლებია ენერგეტიკის

სამინისტროს მიერ დამტკიცებული წლიური პროგნოზის სიდიდეზე (1726,5 მლნ.კუბ.მ.) 2,5%-ით.

2006 წელთან შედარებით, ბუნებრივი გაზის საერთო წლიური მოხმარების შემცირება გამოწვეულია თბოსადგურების მიერ ელექტროენერჯის წარმოების შემცირებით. ეკონომიკისა და საყოფაცხოვრებო სექტორში ბუნებრივი გაზის მოხმარება კი გაიზარდა; მაგალითად, „ყაზტრანსგაზ-თბილისმა“ 2007 წელს სულ მიიღო და გაანაწილა 454,8 მლნ.კუბ.მ. გაზი; ეს კი 18,7%-ით სჭარბობს დედაქალაქის 2006 წლის ანალოგიურ პარამეტერს (იხ. დანართი №8).

ზემოთ აღნიშნულისა და საქართველოს ენერჯეტიკის რეგულირებაში განხორციელებული სამუშაოების შესახებ, უფრო ვრცლად, საუბარია წინამდებარე ანგარიშში.

## კომისიის წევრები

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, კომისია სამი წევრისაგან შედგება. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 9 აგვისტოს №421 განკარგულებით, კომისიის თავმჯდომარე გიორგი თავაძე გათავისუფლდა კომისიის წევრისა და თავმჯდომარის თანამდებობიდან უფლებამოსილების ვადის გასვლის გამო. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 30 აგვისტოს №454 და №455 განკარგულებებით კომისიის წევრად და თავმჯდომარედ დაინიშნა გურამ ჩალაგაშვილი. საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 სექტემბრის №517 განკარგულებით კომისიის წევრად 6 წლის ვადით დაინიშნა ზურაბ გაბელაია, ხოლო კომისიის წევრ ირმა ქავთარაძეს, პრეზიდენტის 2005 წლის 17 აგვისტოს №662 განკარგულებით უფლებამოსილება 6 წლის ვადით გაუგრძელდა.

## კომისიის აპარატი

2007 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომისიის აპარატი შედგებოდა 90 მუშაკისაგან, ხოლო 2007 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ჩატარებული სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგად 2008 წლის 1 იანვრისათვის – 72 თანამშრომელისაგან. კომისიის დებულების შესაბამისად, კომისიის აპარატის შემადგენლობაშია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები :

- ა. 7 დეპარტამენტი (ელექტროენერგეტიკის, ბუნებრივი გაზის, ტარიფებისა და ფასწარმოქმნის, იურიდიული, მეთოდოლოგიური და ინფორმაციული უზრუნველყოფის, საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის, საქმისწარმოებისა და საკადრო საქმეთა);
- ბ. 2 სამმართველო – სერტიფიკაციისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის;
- გ. კომისიის თავმჯდომარისა და წევრების აპარატი;
- დ. ბუღალტერია.

კომისიის აპარატი, ძირითადად, დაკომპლექტებულია ინჟინერ-ენერგეტიკოსებით, გაზის მეურნეობის სპეციალისტებით, ეკონომისტებითა და იურისტებით.

აპარატის მუშაკების მიღება წარმოებს საკონტრაქტო სისტემით.

კომისიასთან არსებობს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური (5 საშტატო ერთეული), რომლის ხელმძღვანელი 2007 წლის ნოემბრიდან მალხაზ ძიძიკაშვილია.

2007 წლის განმავლობაში საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ მიღებულ იქნა 24 დადგენილება, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი დადგენილებები, როგორცაა:

ა) „სს „თელასის“ 10(6) კვ და 380/220 ვ ძაბვის საფეხურის გამანაწილებელ ქსელებზე ახალი მომხმარებლების მიერთების საფასურის დადგენის შესახებ” საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2007 წლის 20 ივლისის №12 დადგენილება. ამ დადგენილებით რეგულირდება სს „თელასის გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთების ტექნიკური და ფინანსური პირობები.

ბ) „ელექტროენერჯის გატარების ტარიფების შესახებ” საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2007 წლის 6 ივლისის №11 დადგენილება. ამ დადგენილებით გამანაწილების ლიცენზიატებს დაუდგინდათ გატარების ტარიფები განაწილების ქსელის შესაბამის ძაბვებზე.

დაიწყო და ამჟამადაც გრძელდება მუშაობა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა – „ელექტროენერჯის ტარიფების დადგენის” მეთოდოლოგიის ახალი რედაქციის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს ტარიფების გაანგარიშების ახალი პრინციპებისა და მიდგომების დანერგვას, რაც ხელს შეუწყობს მიმზიდველი გარემოს შექმნას ინვესტიციების მოსაზიდად; „ელექტროენერჯის მოხმარების წესების” შემუშავება, რომელიც ადგენს და აწესრიგებს ურთიერთობებს გამანაწილებელ კომპანიას, მცირე სიმძლავრის ელექტროსადგურსა და საცალო მომხმარებლებს შორის; „ლიცენზირების წესების” და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და გადახდის წესის” ახალი რედაქციის შემუშავება. მუშავდება „სადავო საკითხების განხილვის” ახალი წესი.

2007 წელს კომისიაში სულ შემოვიდა 2127 წერილი. მათგან 46 წერილი ეხებოდა ლიცენზიის მიღებას და ვადის გაგრძელებას, 146 ტარიფების დადგენას და ცვლილებას. სადავო საკითხებთან დაკავშირებით შემოვიდა 165 განცხადება. 24 ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ მოთხოვნილ იქნა განმარტებები სხვადასხვა საკითხებზე. გაიგზავნა 1612 წერილი.

2007 წელს კომისიაში გაიმართა 37 სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა 24 დადგენილება. ასევე, მიღებულ იქნა 41 გადაწყვეტილება

2007 წელს კომისიაში გაიმართა 105 სამუშაო შეხვედრა.

## ბიუჯეტი

კომისიის 2006 წლის 21 დეკემბრის №30/5 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საპროგნოზო ბიუჯეტით, კომისიის შემოსავალი განისაზღვრა 3256030 ლარით და, შესაბამისად, ხარჯვითი ნაწილი განისაზღვრა 3224660 ლარით.

2007 წლის მანძილზე კომისიის ბიუჯეტმა გარკვეული სტრუქტურული ცვლილება განიცადა. შესაბამისად, დამტკიცდა 2007 წლის კორექტირებული ბიუჯეტი, რომლის შემოსავლის ნაწილი გაიზარდა 1373785 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი 569689 ლარით.

ქვემოთ მოყვანილია 2007 წლის კორექტირებული ბიუჯეტის გეგმა და მისი ფაქტიური შესრულების ცხრილი.

### ცხრილი №1

#### კომისიის 2007 წლის კორექტირებული ბიუჯეტი (ლარი)

№№	პარამეტრი	კორექტირებული	ფაქტიური შესრულება
1	2	4	3
1.	ნაშთი 2007 წლის 1 იანვრისათვის	324510	324510
2.	2007 წლის მოსალოდნელი შემოსავლები, სულ	4629815	4305305
3.	გასავალი, სულ მათ შორის	3794349	3715130
3.1.	ხელფასები	1219238	1218424
3.2.	დანარიცხები ხელფასზე	243848	243685
3.3.	მატერიალური სტიმულირებისა და დახმარების ფონდები	1151442	1151441
3.4.	დანარიცხები სტიმულირებისა და დახმარების ფონდებზე	230288	230288
3.5.	მივლინების ხარჯები	140000	101723
3.6.	ტრენინგები	6000	4433
3.7.	კომუნალური ხარჯები	40000	34337
3.8.	სამეურნეო საქონელი	10000	8412
3.9.	ძირითადი საშუალებების, ავეჯის და მოწყობილობების შეძენა	250000	245642
3.10.	ოფისის სარემონტო ხარჯები	2600	2575
3.11.	წარმომადგენლობითი ხარჯები	5500	5242
3.12.	ავტომობილების მომსახურება	55000	51273
3.13.	საავტომობილო საწვავი	84000	83279
3.14.	ბანკის მომსახურება	5600	5564
3.15.	საწევრო გადასახადები	15245	12741
3.16.	კავშირგაბმულობის ხარჯები	75000	70800
3.17.	საკანცელარიო ნივთები	19000	15274
3.18.	კომპიუტერების მომსახურება	15000	13251
3.19.	დაცვის შენახვის ხარჯები	30588	30588
3.20.	აუდიტორული შემოწმება, სულ	52300	52300



	მ.შ. კომისია	13400	13400
	ლიცენზიატები	38900	38900
3.21.	მეთოდოლოგიური ხასიათის მასალების შეკვეთა	15000	11141
3.22.	ინფორმაციული უზრუნველყოფა	17300	17218
3.23.	საფოსტო მომსახურება	4000	3536
3.24.	ავტომობილების იჯარა	2100	2046
3.25.	ავტომობილების დაზღვევა	6000	3720
3.26.	ოფისის იჯარა	82500	81124
3.27.	სხვადასხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	16800	15073

### ძირითადი ფუნქციების განხორციელება

#### ტარიფების დადგენა და რეგულირება

2007 წელს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების (8.06.2007წ. №4911, 20.11.2007წ. №5466), საქართველოს ელექტროენერგეტიკულ სექტორში ეკონომიკური და სტრუქტურული რეფორმების, ასევე წლის დასაწყისიდან რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი გაზის გაძვირების (ორჯერ უფრო მეტად) საფუძველზე, კომისიის მიერ 2007 წელს განხორციელებულ იქნა შესაბამისი ცვლილებები ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის სატარიფო რეგულირების სფეროში. 2007 წელს აღნიშნულ სფეროში მიღებული იქნა კომისიის 21 დადგენილება, მათ შორის ელექტროენერგეტიკაში – 9, ხოლო გაზის სექტორში –12.

#### *1. ელექტროენერგეტიკა*

2007 წელს მნიშვნელოვანი ცვლილება განიცადეს ელექტროენერჯის გამანაწილებელმა კომპანიებმა. კერძოდ, ელექტროენერჯის ბაზარზე დამკვიდრდა სს „ენერჯო-პრო ჯორჯია“, რომელმაც შეისყიდა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის“ და შპს „აჭარის ენერჯოკომპანიის“ აქტივები, აგრეთვე გენერაციის 6 ობიექტი და შეიქმნა ელექტროენერჯის წარმოება-განაწილების ერთიანი კომპლექსი.

2007 წლის განმავლობაში ელექტროენერჯის სამომხმარებლო ტარიფებში ცვლილება არ განხორციელებულა, ამასთან რამოდენიმე ცვლილება იქნა შეტანილი „ელექტროენერჯის ტარიფების შესახებ“ კომისიის 2006 წლის 15 მაისის №18 დადგენილებაში. კერძოდ, 2007 წლის 20 თებერვლის №4 დადგენილებით, სს „ენერჯი ინვესტის“ განაცხადის საფუძველზე, შეიცვალა მისი წარმოების (სიმძლავრის) ტარიფები. იმის გათვალისწინებით, რომ სს „ბჟუჟაჰესმა“ შეწყვიტა საიჯარო ხელშეკრულება შპს „რუსთავცემენტთან“ და დაიბრუნა თავის საკუთრებაში ჰიდროელექტროსადგურის ძირითადი საშუალებები, კომისიის მიერ წარმოების ლიცენზია გაცემულ იქნა სს „ბჟუჟაჰესზე“ და შესაბამისად 2007 წლის 29 მარტის №5 დადგენილებით წარმოების ტარიფიც დაუდგინდა ამ კომპანიას.

2007 წლის ივნისში (8.06.2007. №4911) ცვლილება იქნა შეტანილი „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონში, რომლის 43<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ელექტროენერჯის რეზერვის წყაროსთვის (შესაბამისი ელექტროენერჯის მწარმოებლისთვის), წარმოების ტარიფის გარდა, კომისია ადგენს ორგანაკვეთიან ტარიფს, რომელიც შედგება სიმძლავრის სასისტემო რეზერვის ტარიფისა და გამოყენებული რეზერვის წარმოების ტარიფისაგან. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი გაზის გაძვირება წლის დასაწყისში არ იქნა ასახული თბოელექტროსადგურების ტარიფებში. აქედან გამომდინარე, თბოელექტროსადგურების განაცხადების საფუძველზე, კომისიის 2007 წლის 2 ნოემბრის №20 და 21 ნოემბრის №22 დადგენილებებით ცვლილება იქნა შეტანილი კომისიის 2006 წლის 15 მაისის №18 დადგენილებაში და სს „თბილსრესის“, სს „ენერჯი ინვესტის“ და შპს „მტკვარი-ენერგეტიკას“ კანონის შესაბამისად დაუდგინდათ სიმძლავრის სასისტემო რეზერვისა და გამოყენებული რეზერვის ელექტროენერჯის წარმოების ზღვრული ტარიფები.

აღსანიშნავია, რომ თბოელექტროსადგურების ტარიფების გაზრდას, 2007-2008 წლის ელექტროენერჯის ბალანსის სტრუქტურიდან გამომდინარე, სამომხმარებლო ტარიფების სიდიდეზე გავლენა არ მოუხდენია.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში (2007 წლის 8 ივნისის №4911) შეტანილი იქნა ცვლილება და დაემატა 49<sup>1</sup> მუხლი, რომლის თანახმადაც, კომისიას დაევალა დაადგინოს ელექტროენერჯის გატარების ტარიფები კვალიფიციური საწარმოებისთვის ძაბვების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიის 2007 წლის 6 ივლისის №11 დადგენილებით აღნიშნული კომპანიებისთვის დამტკიცდა ელექტროენერჯის გატარების ტარიფები.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში 2006 წლის 9 ივნისს შეტანილი ცვლილების (მუხლი 46<sup>2</sup> ამოქმედდა 2006 წლის 1 სექტემბრიდან) თანახმად, კომისია ადგენს ახალი მომხმარებლის გადამცემ ან გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასურს, რომელიც აუნაზღაურდება შესაბამის ლიცენზიატს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სს „თელასის“ განაცხადისა (12.02.2007წ. №1-04/26, 26.02. №1-04/34, 29.03. №1-04/225 და 5.06. №1-04/373 წერილები) და შპს „ენერგოქსელპროექტის“ (2007 წლის 29 ივნისის №01-05/71 წერილი) წარმოდგენილი დასკვნის საფუძველზე, კომისიის 2007 წლის 20 ივლისის №12 დადგენილებით დამტკიცდა სს „თელასის“ გამანაწილებელ ქსელებზე ახალი მომხმარებლების მიერთების საფასური ყოველ 1 კვტ მისაერთებელ სიმძლავრეზე ძაბვების მიხედვით. ეს დადგენილება დროებითა და მისი მიზანი იყო მოეწესრიგებინა სს „თელასის“ საშუალო და დაბალი ძაბვის ქსელებზე ახალი მომხმარებლების მიერთების ხარჯების განაწილება მომხმარებელთა კატეგორიების, აგრეთვე მომხმარებლებსა და სს „თელასს“ შორის.

შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილი განაცხადებისა და შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე კომისიის მიერ მიღებულ იქნა 2007 წლის 7 ნოემბრის №21 დადგენილება, რომლითაც დადგინდა ფორმულა, რითაც აღნიშნული

ორგანიზაციები განსაზღვრავენ საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერჯის ზღვრულ (ზედა ზღვარი) ტარიფს. ამ დადგენილების მიღების აუცილებლობა განპირობებული იყო აღნიშნულ კომპანიებსა და TGR ENERGY ELECTRICITY WHOLESALE TRAGE CO.-ს შორის 2007 წლის 20 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულებებით (№400-07/14 და №401-07/12) „ელექტროენერჯის იმპორტ-ექსპორტის შესახებ საქართველოს, რუსეთის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის ელექტროსისტემებს შორის“, რომელთა თანახმადაც საქართველო 2007 წლის გაზაფხულ-ზაფხულში ენერგეტიკულ მდინარეებზე წყლის ჭარბი მოდინებით გამოძუშავებულ ელექტროენერჯიას მიაწვდის აღნიშნულ სისტემებს, ხოლო ელექტროენერჯიას მიიღებს უკან შემოდგომა-ზამთრის (ანუ ელექტროენერჯის დეფიციტის) პერიოდში ნატურალური ფორმით. იმპორტირებული ელექტროენერჯის ტარიფის განსაზღვრა აუცილებელია მისი შემდგომი რეალიზაციის მიზნით. აღნიშნული ხელშეკრულებების მოქმედების პერიოდში დაბალანსებულ უნდა იქნეს ექსპორტირებული და იმპორტირებული ელექტროენერჯის მოცულობა და ღირებულება. ამასთან დადგენილი ფორმულით განსაზღვრული იმპორტირებული ელექტროენერჯის ტარიფი არ გამოიწვევს მოქმედი სამომხმარებლო ტარიფების გაზრდას.

## *2. ბუნებრივი გაზის სექტორი*

2007 წელს ბუნებრივი გაზის სექტორში ტარიფების ცვლილების, ასევე, ახალი ლიცენზიატებისთვის ტარიფის დადგენის მოთხოვნით კომისიაში შემოტანილ იქნა 39 სატარიფო განაცხადი, შესაბამისად საანგარიშო წელს ბუნებრივი გაზის ტარიფების რეგულირების სფეროში სულ მიღებულ იქნა 12 დადგენილება.

როგორც უკვე აღინიშნა, 2007 წლის იანვრიდან რუსეთის ფედერაციიდან იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ფასი კვლავ გაიზარდა 110,0 აშშ დოლარიდან 235,0 აშშ დოლარამდე ანუ 113,6%-ით. 2007 წლის იანვრიდან საქართველოში ბუნებრივი გაზის იმპორტის განხორციელება დაიწყო აზერბაიჯანიდანაც, რომლის ფასიც მნიშვნელოვნად დაბალი იყო რუსეთიდან იმპორტირებულ გაზის ფასზე. 2007 წლის დასაწყისიდან ქვეყანაში რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ფასის ორჯერ უფრო მეტად გაზრდის გამო, მიწოდების ტარიფის არსებითად გაზრდის მოთხოვნით კომისიას მიმართა ბუნებრივი გაზის ყველა იმპორტიორმა კომპანიამ – შპს “ნავთობის და გაზის კორპორაცია”, შპს „ვაზტრანსგაზ-თბილისმა“, სს „იტერა-საქართველო“, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ“.

ტარიფების მკვეთრი გაძვირების შედეგად მოსალოდნელი მძიმე სოციალური და ეკონომიკური შედეგების (განსაკუთრებით კი ზამთრის სეზონზე) თავიდან ასაცილებლად, როგორც ზემოთ ითქვა, „საქართველოს ენერგეტიკული სისტემისა და მოსახლეობის ბუნებრივი აირით სტაბილური მომარაგების უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 3 იანვრის №1 განკარგულებით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან სულ გამოყოფილი იქნა 125 მლნ ლარამდე კრედიტი წლიური 0,5%-ის სარგებლით.

აღნიშნული ფინანსური რესურსების გამოყენების შედეგად, 2007 წლის იანვარ-აპრილში უზრუნველყოფილი იქნა როგორც ქვეყნის შეუფერხებელი გაზომმარაგება, ასევე ბუნებრივი გაზის სამომხმარებლო ტარიფების სტაბილურობა. ამასთან, ოთხ თვეში მიღებულ საბიუჯეტო კრედიტებს, რომლებითაც დაფარული იქნა ამავე პერიოდში მიმწოდნელი (იმპორტიორი) კომპანიების მიერ მიღებული ფასთასხვაობით გამოწვეული ზარალი, კომპანიები დაფარავენ 2008 წლის ბოლომდე შედეგად მივიღეთ ტარიფების ნახტომისებური ზრდის თავიდან აცილება.

ბუნებრივი გაზით უზრუნველყოფის წყაროების დივერსიფიკაციის შედეგად, ქვეყნის შიდა ბაზრის რეგულირების თვალსაზრისით, არსებითად მაღლდება ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების ბალანსების როლი და მნიშვნელობა; საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ 2007 წლის 12 აპრილს (№28 ბრძანება) დამტკიცებული ბუნებრივი გაზის ბალანსი საფუძვლად დაედო ბუნებრივი გაზის ყიდვა – გაყიდვის წლიურ ხელშეკრულებებს. ბალანსის მიხედვით საქართველოს წლიური მოხმარება შეადგენდა 1726,48 მლნ მ<sup>3</sup>. ამ ბალანსზე დაყრდნობით, მიმწოდებლების (იმპორტიორების) მიერ ბუნებრივი გაზის შესყიდვის ხელშეკრულებებში რესურსის მიღების წყაროები (რომელთაც განსხვავებული ფასები გააჩნიათ) ისე იქნა შერჩეული, რომ ყველა მათგანისათვის (გარდა ელექტროენერგეტიკისა) 2007 წელს ყალიბდება ერთიანი საშუალო ფასი – 167,0 აშშ\$/1000მ<sup>3</sup>-ზე. თავისთავად ცხადია, რომ ასეთი მექანიზმი მთლიანად შეესაბამება როგორც ეკონომიკური სამართლიანობის პრინციპებს, ასევე საქართველოს მთავრობის 2007 წლის 3 იანვრის №1 განკარგულების მოთხოვნებს.

ბუნებრივი გაზის მიწოდების ფასის დაახლოებით 52%-ით გაზრდამ (110 აშშ დოლარიდან 167 აშშ დოლარამდე ანუ 57 აშშ დოლარი/1000 მ<sup>3</sup>), ცხადია, თავის მხრივ განაპირობა განაწილების ტარიფების ზრდის აუცილებლობა. ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი კომპანიებს მიწოდების (საბითუმო) და განაწილების ტარიფების ცვლილების შესაბამისად გაეზარდათ სამომხმარებლო ტარიფები.

ამასთან, ამავე პერიოდში განხილულ იქნა გაზგამანაწილებელი კომპანიების სს „ქუთაისიგაზის“, სს „რუსთავიგაზის“, სს „სამტრედიაგაზის“, სს „ქარელიგაზის“, სს „თელავიგაზის“, სს „კასპიგაზის“, სს „გორიგაზის“, სს „მცხეთაგაზის“, სს „საჩხერეგაზის“, შპს „დაცვის უზრუნველყოფის სამსახურის“ სატარიფო განაცხადები, რომელთა მოთხოვნები ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული და მეტ-ნაკლები ზომით გაეზარდათ განაწილების ტარიფები.

ზემოაღნიშნული ცვლილებები ასახულ იქნა „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების და დამატებების შეტანის შესახებ“ კომისიის 2007 წლის 16 აპრილის №6 დადგენილებაში.

ქვემომოყვანილ გრაფიკებზე მოცემულია აღნიშნული დადგენილებით შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ და სს „ქუთაისიგაზისთვის“ დამტკიცებული სამომხმარებლო ტარიფების სტრუქტურა:


**Примечание [U1]:** ბატონ ელიზბარს შენიშვნა აქვს იხ. თბოსადგურისთვის 143\$

## გრაფიკი №1

## 1. შპს “ყაზტრანსგაზ-თბილისი”

თეთრი/მ<sup>3</sup> დღე-ის გარეშე

სამომხმარებლო ტარიფი	42.898	100%
მათ შორის		
იმპორტი	28.39	66,18%
მიწოდება	0.185	0,43%
ტრანსპორტირება	1.383	3,23%
განაწილება	12.94	30,16%




## გრაფიკი №2

## 2. სს “ქუთაისგაზი”

თეთრი/მ<sup>3</sup> დღე-ის გარეშე

სამომხმარებლო ტარიფი	43.00	100%
მათ შორის		
იმპორტი	28.39	66,02%
მიწოდება	0.846	1,97%
ტრანსპორტირება	1.383	3,21%
განაწილება	12.381	28,8%



2007 წელს კვლავ გაგრძელდა გაზგამანაწილებელი კომპანიების განაწილების და, შესაბამისად, მოხმარების ტარიფების დიფერენცირება, რაც მეტყველებს იმაზე, რომ სამრეწველო სექტორში იზრდება გაზის მოხმარება. კერძოდ, 2007 წლის 15 იანვრის №1 დადგენილებით შპს „აჭარის ბუნებრივ აირს“ განაცხადის საფუძველზე დაუდგინდა დიფერენცირებული ტარიფები მომხმარებელთა (სამრეწველო – მაღალი და საშუალო წნევის, ასევე საყოფაცხოვრებო – დაბალი წნევის) კატეგორიების მიხედვით: განაწილების ტარიფები, შესაბამისად, 1.831 თეთრი/მ<sup>3</sup>, 6.907 თეთრი/მ<sup>3</sup> და 10.83 თეთრი/მ<sup>3</sup>, ხოლო მოხმარების ტარიფები – 24.119 თეთრი/მ<sup>3</sup>, 29.195 თეთრი/მ<sup>3</sup> და 33.118 თეთრი/მ<sup>3</sup> დღ-ის გარეშე. 2007 წლის 18 მაისის №8 დადგენილებით დიფერენცირებული ტარიფები დაუდგინდა ასევე სს „ენერგოკავშირს“ – განაწილების ტარიფები საშუალო წნევის მომხმარებლებისთვის – 3.957 თეთრი/მ<sup>3</sup>, დაბალი წნევის მომხმარებლებისთვის – 12.178 თეთრი/მ<sup>3</sup>, ხოლო მოხმარების ტარიფები, შესაბამისად, – 34.576 თეთრი/მ<sup>3</sup> და 42.797 თეთრი/მ<sup>3</sup>, 2007 წლის 28 დეკემბრის №24 დადგენილებით შპს „დი-ვი-ესს“ – განაწილების ტარიფები საშუალო წნევის მომხმარებლებისთვის – 4.254 თეთრი/მ<sup>3</sup>, დაბალი წნევის მომხმარებლებისთვის – 10.483 თეთრი/მ<sup>3</sup>, ხოლო მოხმარების ტარიფები, შესაბამისად, – 34.873 თეთრი/მ<sup>3</sup> და 41.102 თეთრი/მ<sup>3</sup>.

სს „ავტოგაზის“ მიერ ხელშეკრულება ბუნებრივი გაზის მიწოდებაზე ნაცვლად სს „იტერა-საქართველოსი“, გაფორმებულ იქნა შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციასთან“, შესაბამისად მისი განაცხადის საფუძველზე 2007 წლის 18 მაისის №8 დადგენილებით შეიცვალა სს „ავტოგაზის“ მოხმარების ტარიფი და განისაზღვრა 32.533 თეთრი/მ<sup>3</sup>-ზე (შემცირდა 0.05 თეთრით) დღ-ის გარეშე. ამავე დადგენილებით კომპანიების განაცხადების საფუძველზე ცვლილება იქნა შეტანილი შპს „მილის“ და შპს „დიდი დილომის“ ტარიფებში კერძოდ, შპს „მილისათვის“ განისაზღვრა ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფი – 10.949 თეთრი/მ<sup>3</sup>, ხოლო მოხმარების – 41.568 თეთრი/მ<sup>3</sup>, შპს „დიდი დილომისათვის“ ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფი – 11.467 თეთრი/მ<sup>3</sup>, ხოლო მოხმარების – 43.136 თეთრი/მ<sup>3</sup>).

2007 წლის 22 ივნისის №10 დადგენილებით ცვლილება იქნა შეტანილი სს „მარნეულიგაზის“ და სს „ბორჯომიგაზის“ ტარიფებში. კერძოდ, სს „მარნეულიგაზს“ დაუდგინდა – განაწილების ტარიფები საშუალო წნევის მომხმარებლებისთვის – 9.296 თეთრი/მ<sup>3</sup>, დაბალი წნევით მომხმარებლებისთვის – 13.449 თეთრი/მ<sup>3</sup>, ხოლო მოხმარების ტარიფები, შესაბამისად, – 39.915 თეთრი/მ<sup>3</sup> და 44.068 თეთრი/მ<sup>3</sup> დღ-ის გარეშე. სს „ბორჯომიგაზის“ განაწილების ტარიფი განისაზღვრა 14,805 თეთრი/მ<sup>3</sup>, ხოლო მოხმარების – 45,424 თეთრი/მ<sup>3</sup>. აღსანიშნავია, რომ სს „ბორჯომიგაზი“ პირველი გაზგამანაწილებელი კომპანიაა, რომელმაც 2007 წელს დაიწყო საყოფაცხოვრებო მრიცხველების შეცვლა, კორექტორიანი მრიცხველებით, რაც კომპანიას მნიშვნელოვნად შეუმცირებს ტემპერატურული ცვლილებებით გამოწვეული გაზის დანაკარგების რაოდენობას და შესაბამისად ფინანსურ ზარალს. კომპანია მრიცხველების შეცვლას ახორციელებს საკუთარი სახსრებით.

2007 წლის 20 ივლისის №13 დადგენილებით შეიცვალა სს „თეთრიწყაროგაზის“ და სს „ბოლნისიგაზის“ ტარიფებიც. სს „თეთრიწყაროგაზის“ განაწილების ტარიფები განისაზღვრა საშუალო წნევის მომხმარებლებისთვის – 10.398 თეთრი/მ<sup>3</sup>, დაბალი წნევის მომხმარებლებისთვის – 15.228 თეთრი/მ<sup>3</sup>, ხოლო მოხმარების ტარიფები შესაბამისად – 41.017 თეთრი/მ<sup>3</sup> და 45.847 თეთრი/მ<sup>3</sup>. სს „ბოლნისიგაზის“ განაწილების ტარიფი განისაზღვრა – 14.55 თეთრი/მ<sup>3</sup>, ხოლო მოხმარების ტარიფი – 45.169 თეთრი/მ<sup>3</sup>.

2007 წლის 31 ივლისის №14 დადგენილებით შეიცვალა ასევე შპს „ვანიგაზის“ და შპს „ვარკეთილიაირის“ ტარიფები. კერძოდ, შპს „ვანიგაზისათვის“ განისაზღვრა ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფი – 13.872 თეთრი/მ<sup>3</sup>, ხოლო მოხმარების ტარიფი – 44.491 თეთრი/მ<sup>3</sup>. შპს „ვარკეთილიაირისათვის“ განისაზღვრა ბუნებრივი გაზის განაწილების ტარიფი – 11.128 თეთრი/მ<sup>3</sup>, ხოლო მოხმარების ტარიფი – 42.797 თეთრი/მ<sup>3</sup>.

მნიშვნელოვანი რეფორმა იქნა განხორციელებული ბუნებრივი გაზის სექტორში 2007 წლის სექტემბრის თვეში. კერძოდ, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ენერგეტიკულ დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებიდან გამომდინარე, ენერგეტიკის სამინისტრო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება დერეგულირების ან ნაწილობრივი დერეგულირების თაობაზე. აღნიშნული კანონის საფუძველზე საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მიერ მიღებული „ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობის დერეგულირებისა და ნაწილობრივი დერეგულირების შესახებ“ 2007 წლის 25 სექტემბრის №69 ბრძანების თანახმად, ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობა გამოცხადდა დერეგულირებულად, ხოლო ნაწილობრივ დერეგულირებულად – ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში საცალო მომხმარებლებზე ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობა და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ამ ბრძანების ძალაში შესვლამდე არსებულ საცალო მომხმარებლებზე ბუნებრივი გაზის მიწოდების საქმიანობა.

აღნიშნული გარემოებების საფუძველზე, 2007 წლის 10 ოქტომბრის №16 დადგენილებით, კომისიის 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში შევიდა სათანადო ცვლილებები. კერძოდ, რეგულირებისაგან განთავისუფლდა ბუნებრივი გაზის საბითუმო მიმწოდებლები და შესაბამისად დადგენილებიდან ამოღებულ იქნა ის მუხლი, რომლითაც დამტკიცებული იყო მიწოდების (საბითუმო) ტარიფები. ხოლო გაზგამანაწილებელი კომანიებისთვის, რომლებიც ამავე დროს არიან მათი განაწილების არეალში მყოფი მომხმარებლებისთვის ბუნებრივი გაზის მიმწოდებლები, ამ ეტაპზე არსებული ტარიფების დონე დარჩა უცვლელი. ამასთან, საცალო მომხმარებლებისთვის განისაზღვრა ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების ზღვრული (ზედა ზღვარი) ტარიფები, ხოლო განაწილების და ტრანსპორტირების ტარიფები დარჩა ფიქსირებული.

საწარმოთა მართვის სააგენტოს 2007 წლის 27 აგვისტოს №1-3/595 ბრძანებით გაზგამანაწილებელი ლიცენზიატების სს „მცხეთაგაზის“, სს „დუშეთიგაზის“, სს „ხაშურიგაზის“, სს „ქარელიგაზის“, სს „ყაზბეგიაგაზის“, სს

„გარდაბანგაზის“, და სს „დმანისიგაზის“ შერწყმის შედეგად შეიქმნა სს „ქართლიგაზი“, ხოლო საწარმოთა მართვის სააგენტოს 2007 წლის 17 სექტემბრის №33-03-590/7-7 წერილის საფუძველზე, სს „ქართლიგაზის“ 2007 წლის 17 სექტემბრის ბრძანებით დაფუძნებულ იქნა შპს „ქართლიგაზი“. 2007 წლის 16 ოქტომბრის № 18 დადგენილებით შესაბამისი ცვლილება იქნა შეტანილი „ბუნებრივი გაზის ტარიფების შესახებ“ კომისიის 2005 წელის 30 დეკემბრის №30 დადგენილებაში. კერძოდ, შპს „ქართლიგაზს“ ტარიფები დაუდგინდა მასში გაერთიანებული რეგიონების ჭრილში. ამასთან, ამ ეტაპზე რეგიონებში ტარიფები დარჩა უცვლელი.

2007 წელს, მიუხედავად ბუნებრივი გაზის ტარიფების ზრდისა, ქვეყანაში გრძელდებოდა გაზიფიცირების პროცესი, შესაბამისად კომისიის მიერ გაცემულ იქნა ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიები შემდეგ კომპანიებზე: სს „ამბროლაურგაზი“, შპს „გიო“, შპს „დი-ვი-ეს“, შპს „ჩირაღდანი XXI საუკუნე“. შესაბამისად, აღნიშნული კომპანიების სატარიფო განაცხადების საფუძველზე კომისიის 2007 წლის 18 მაისის №8, 22 ივნისის №10, 16 ოქტომბრის №18, და 28 დეკემბრის №24 დადგენილებებით დაუმტკიცდათ ბუნებრივი გაზის განაწილების და მოხმარების ტარიფები.

## ლიცენზირება

### 1. ელექტროენერგეტიკა

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომისია ელექტროენერგეტიკაში გასცემს უვადო ლიცენზიებს შემდეგ საქმიანობაზე:

- ა) ელექტროენერჯის წარმოება;
- ბ) ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაცია;
- გ) ელექტროენერჯის გადაცემა;
- დ) ელექტროენერჯის განაწილება.

2007 წელს კომისიამ დიდი მოცულობის სამუშაოები ჩატარა როგორც ელექტროენერგეტიკული ბაზრის ახალი სუბიექტების ლიცენზირების, ასევე არსებული ლიცენზიატების საქმიანობის სალიცენზიო პირობებთან შესაბამისობის კონტროლის, აგრეთვე ლიცენზირების პროცედურების დახვეწისა და შესაბამისი ნორმატიული ბაზის არსებულ საკანონმდებლო აქტებთან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად.

ელექტროენერგეტიკულ სექტორში, 2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფუნქციონირებდა შემდეგი ლიცენზიატები: წარმოების – 16; განაწილების – 3; გადაცემის – 2; დისპეტჩერიზაციის – 1 (ლიცენზიატების სრული ნუსხა (იხ. დანართი №9).

საანგარიშო პერიოდში ელექტროენერგეტიკულ სექტორში გაიცა ელექტროენერჯის წარმოების ორი და ელექტროენერჯის განაწილების ერთი ლიცენზია. შეტანილ იქნა ცვლილებები სს „ეი-ი-ეს ხრამჭესი I“-ის, სს „ეი-ი-ეს



ხრამჭესი II“-ის, სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ და შპს „საქართველოს რკინიგზის“ ელექტროენერჯის წარმოების ლიცენზიებში.

2007 წლის 5 თებერვალს „ჰიდროელექტროსადგურებისა და ელექტრო-ენერჯის გამანაწილებელი კომპანიების აქტივების ნასყიდობის შესახებ“ ხელშეკრულება გაფორმდა ერთი მხრივ, საქართველოს მთავრობას, სს „საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიას“, შპს „აჭარის ენერჯო-კომპანიას“ და მეორეს მხრივ, სს „ენერგო-პრო ეი-ეს-ს“ და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში გადაეცა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის“ და შპს „აჭარის ენერჯოკომპანიის“ აქტივები, აგრეთვე სს „რიონქესის“, სს „შაორქესის“, სს „ლაჯანურქესის“, სს „გუმათ-ქესების კასკადის“, სს „ძევერულქესის“ და შპს „აჭქესის“ საწესდებო კაპიტალ-ლიდან ამოღებული და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივები.

„ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, საანგარიშო წელს დაიწყო კომისიის 1999 წლის №3 დადგენილებაში „ლიცენზირების წესები ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში“ შესატანი ცვლილებებისა და დამატებების მომზადება.

კომისიის აპარატი ლიცენზიატების საქმიანობის მონიტორინგისას იყენებდა როგორც მათი საქმიანობის დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის მიხედვით შერჩევით შემოწმებას, შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომლების ადგილებზე მივლინებით, ასევე ლიცენზიატების მიერ ყოველწლიურად მოწოდებული მასალების ანალიზს. კერძოდ, გამანაწილებელი კომპანიების მიერ საანგარიშო წელს მასალები მოწოდებულ იქნა შემდეგი ჩამონათვალის შესაბამისად:

1. ძირითადი აქტივების ჩამონათვალი, მახასიათებლები და მდგომარეობა;
2. ელექტროენერჯის აღრიცხვის კანძების მოწესრიგების პროგრამა;
3. ელექტროენერჯის დანაკარგების და საკუთარი მოხმარების დინამიკა თვეების მიხედვით და მის შესამცირებლად გატარებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები.
4. ინფორმაცია 2007 წლის საინვესტიციო პროგრამების და სარემონტო სამუშაოების გეგმის შესრულების შესახებ.
5. 2008 წლის საინვესტიციო და სარემონტო სამუშაოების პროგრამები.
6. სალტიდან – ქსელიდან გაცემული და რეალიზებული ელექტროენერჯის მოცულობა თვეების მიხედვით (მთლიანად და ძაბვების საფეხურების მიხედვით).
7. კვალიფიციურ საწარმოებთან გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულებების შესრულების მიმდინარეობა.
8. ავარიების სტატისტიკა; ავარიის შედეგად მიუწოდებული ელექტროენერჯის რაოდენობა.
9. საწარმოო ტრავმებისა და უბედური შემთხვევების სტატისტიკა (2002-2007წ).

10. ინფორმაცია საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესახებ და ამ კუთხით ჩატარებული ღონისძიებები (ატესტაცია, კვალიფიკაციის ამაღლება) და ა.შ.

სალიცენზიო საქმიანობის სახიდან გამომდინარე კითხვარი შესაბამისად კორექტირდება. ლიცენზიატიებიდან მიღებული მასალების ანალიზის საფუძველზე მუშავდება რეაგირების ფორმები. საანგარიშო წელს ლიცენზიატიების მიმართ ადმინისტრაციული ხასიათის სანქციები შემოიფარგლა გაფრთხილებებით.

კომისია ახორციელებდა შერჩევით მონიტორინგს სალიცენზიო საქმიანობაზე, როგორც წინასწარ დამტკიცებული გეგმა-გრაფიფიკითა და პროგრამით, ასევე მომხმარებელთა საჩივრების კვალობაზე, კერძოდ:

საანგარიშო წელს კომისიის 2006 წლის 31 დეკემბრის №31/1 გადაწყვეტილების საფუძველზე ელექტროენერგეტიკის დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ შემოწმებულ იქნა ელექტროენერჯის წარმოების შემდეგი ლიცენზიატიები: სს „რიონჰესი“, სს „ძვერულჰესი“, სს „გუმათჰესის კასკადი“, სს „შაორჰესი“, სს „ვარციხე 2005“, შპს „საქართველოს რკინიგზა“ (ჩითახევეჰესი, საცხენისჰესი), სს „ენერჯი ინვესტი“, შპს „მტკვარი ენერგეტიკა“, სს „ხრამჰესი I“ და სს „ხრამჰესი II“. შედგენილია სათანადო შემოწმების აქტები.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს მრიცხველების ინსპექცია. მათვე პუნქტით განსაზღვრულია ლიცენზიატის მოვალეობა აღრიცხოს მის საშუალებებში გატარებული ელექტროენერჯია. უკანასკნელი მოთხოვნა შესულია შესაბამისი ლიცენზიების პირობებში.

ლიცენზირებული საქმიანობის პირობების შესრულების შემოწმებისას განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ელექტროენერჯის საანგარიშსწორებო აღრიცხვის მოწესრიგების საკითხს. 2007 წელს დასრულდა მნიშვნელოვანი პროექტები ელექტროენერჯის აღრიცხვის სფეროში. საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის ქსელში მიღებისა და ქსელიდან გაცემის წერტილებში ინდუქციური მრიცხველების ნაცვლად დამონტაჟდა ელექტრონული მრიცხველები.

ქვესადგურებში დამონტაჟდა სათანადო კლასის დენისა და ძაბვის საზომი ტრანსფორმატორები. შეიქმნა ელექტროენერჯის ხარისხის კონტროლისა და აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემა ცალკეული ლიცენზიატიების ფარგლებში. მიმდინარეობს ელექტრობაზრის სუბიექტების ერთიანი ავტომატიზებული სისტემის (ალფაცენტრის) ექსპლოატაციაში მიღება.

აღრიცხვის სისტემის მოწესრიგების საქმეში მნიშვნელოვანი ძვრების მიუხედავად, მთელ რიგ ქვესადგურებში ელექტროენერჯის აღრიცხვა პრობლემურია (ენგურჰესი, ზესტაფონი-ფერო და სხვა.). ყველა პრობლემა აღრიცხვის სფეროში განიხილება კომისიის აპარატის აქტიური მონაწილეობით.

## **2. ბუნებრივი გაზის სექტორი**

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კომისია ბუნებრივი გაზის სექტორში უვადოდ გასცემს განაწილებისა და ტრანსპორტირების ლიცენზიებს.

2007 წელს გაიცა ბუნებრივი გაზის განაწილების 12 ლიცენზია (დანართი №10).

11 კომპანიის ლიცენზიაში შეტანილი იქნა ცვლილებები (დანართი №11).

2007 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბუნებრივი გაზის სფეროში მოქმედებაშია სულ 63 ლიცენზია, მ.შ. ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების – 1 და ბუნებრივი გაზის განაწილების – 62 (დანართი №12).

კომისიის 2007 წლის 15 იანვრის №1/1 გადაწყვეტილების საფუძველზე შესწავლილი იქნა გამანაწილებელი კომპანიების: სს „ქუთაისგაზის“, შპს „სამტრედიაგაზის“, სს „ქარელიგაზის“, სს „კასპიგაზის“, სს „მცხეთაგაზის“, შპს „მილის“, შპს „ბორჯომიგაზის“, სს „გორიგაზის“, სს „ხაშურიგაზის“, შპს „ვარკეთილაირის“, სს „ენერგოკავშირის“ შპს „დიდი დილომის“, სს „რუსთავგაზის“ მიერ სალიცენზიო პირობების შესრულება.

შემოწმების შედეგები დაფიქსირდა სათანადო აქტებით. გამოვლინდა დარღვევები, რაზედაც მიეთითა ლიცენზიატებს და მიეცა ვადა მათ გამოსასწორებლად.

კომისია სისტემატიურად აწარმოებს ლიცენზიატებისაგან ინფორმაციის მიღებას მათ მიერ ჩატარებული საქმიანობის შესახებ, რომელთა გადამუშავების შემდეგ აკეთებს დასკვნებს და იძლევა რეკომენდაციებს. ინფორმაცია ლიცენზიატების 2000-2007 წლებში მიღებული და რეალიზებული ბუნებრივი გაზის მოცულობების შესახებ მოცემულია დანართ №13-ში, ინფორმაცია კომპანიების გაზსადენების მართვასთან დაკავშირებით – დანართ №14-ში.

## სამართლებრივი უზრუნველყოფა

კომისიის ეფექტიანი მუშაობა გულისხმობს, დაკისრებულ ამოცანათა სრულფასოვან განხორციელებაზე ორიენტირებულ კანონშესაბამის ფუნქციონირებას. ამ სტრატეგიის უმთავრესი მიმართულებებია კომისიის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ნორმატიული ბაზის ანალიზი და სრულყოფა. აუცილებელია ჩამოყალიბდეს მეტ-ნაკლებად ერთგვაროვანი ხედვა რეგულირების ძირითად პრინციპებთან დაკავშირებით, რაშიც მნიშვნელოვანი როლი სასამართლო პრაქტიკასაც ეკისრება.

ქვეყანაში მიმდინარე დინამიური პროცესები, შესაბამისად, აისახება ქვეყნის კანონმდებლობაში, რის გამოც, ხშირად, აუცილებელი ხდება მოქმედ ნორმატიულ აქტებში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანა. აღნიშნული გარემოებები კომისიას ღიდ პასუხისმგებლობას აკისრებს.

კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, სისტემატურად ხდება კომისიის მიერ მიღებულ დადგენილებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

2007 წლის 20 ნოემბერს, საქართველოს პარლამენტის მიერ, საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებების შედეგად, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შეეცვალა სახელი და ეწოდა „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია“, გაიზარდა კომისიის ფუნქცია წყალმომარაგების საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, კომისიას დაეკისრა სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება-გაწმენდის სფეროში სატარიფო რეგულირება, რამაც განაპირობა კომისიის მიერ მიღებულ ნორმატიულ აქტებში (კომისიის დებულება და სხვა) შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

2007 წელს კომისიაში შემოვიდა 98 სადავო საკითხი. აქედან 6 საკითხზე მიღებულ იქნა კომისიის გადაწყვეტილება. დანარჩენი საკითხების უმრავლესობა მოგვარდა კომისიაში ჩატარებული სამუშაო შეხვედრებით და გაგზავნილი წერილების საფუძველზე

კომისიის მიერ 2007 წელს მიღებულ იქნა 24 ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი-დადგენილება და 41 ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი-გადაწყვეტილება.

კომისიის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა მისი ინტერესების დაცვა სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში. 2007 წელს კომისია სასამართლო პროცესებში-- მოსარჩელის, მოპასუხის ან მესამე პირის სტატუსით--ჩართული იყო როგორც ადმინისტრაციულ, ისე სამოქალაქო საქმეთა განხილვისას. სასამართლოებში ძირითადად დავის საგანს წარმოადგენდა კომისიის მიერ გამოტანილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა, რაც ხშირად კომისიის სასარგებლოდ წყდებოდა და სასამართლო არ აკმაყოფილებდა მოსარჩელების მოთხოვნას, კერძოდ, 4 საქმეზე კომისია მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა და მოსარჩელების მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული. 3 შემთხვევაში ნაწილობრივ დაკმაყოფილდა მოსარჩელების მოთხოვნა და კომისიას დაევალა ახალი

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა. ერთ საქმეზე კი მოქალაქეების მოთხოვნა კომისიის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (შეეხებოდა კომუნალურ მრიცხველს) არარად ცნობის თაობაზე არ იქნა დაკმაყოფილებული. კომისია მოსარჩელე იყო 5 საქმეში, რომლებიც ამჟამად იხილება რაიონულ სასამართლოებში და შეეხება რეგულირების საფასურის გადაუხდელობას. 20 სასამართლო საქმეზე მიმდინარეობს საქმის წარმოება პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში, რომელთაგან 11 საქმეში კომისია ჩართულია მესამე პირად, აქედან 1 საქმე იხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო დანარჩენი საქმეები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ დაუშვებლად ცნო ორი სარჩელი, განუხილველად იქნა დატოვებული 2 სარჩელი, ხოლო მოსარჩელის მიერ გამოხმობილ იქნა 1 სარჩელი, სასამართლომ სარჩელზე უარი უთხრა 3 მოსარჩელეს. სასამართლო პროცესზე სპეციალისტის სახით კომისია მიწვეულ იქნა 1 საქმეზე.

სისტემატიურად იხილებოდა ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორებში ლიცენზიის მაძიებელთა დოკუმენტები და მათზე კეთდებოდა შესაბამისი სამართლებრივი ექსპერტიზა.

კომისია, აგრეთვე, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებასა და დაწესებულებასთან, მათ შორის სამართალდამცავ უწყებებთან, ახორციელებდა სამართლებრივი დახმარებისა და თანამშრომლობის კოორდინაციას.

კომისიის საერთაშორისო თანამშრომლობამ სამართალშემოქმედებაც მოიცვა. სულ უფრო აქტუალური ხდება ელექტროენერგეტიკის მარეგულირებელი საერთაშორისო კანონმდებლობის უნიფიცირება. ამ მიმართულებით კომისია სისტემატიურად მონაწილეობს ენერგეტიკის რეგულირების რეგიონული ასოციაციის (ERRA) მუშაობაში.

## მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა

კომისიის მიერ 2007 წლის განმავლობაში მიღებულ იქნა რამდენიმე მეთოდოლოგიური ცვლილება დარგის ფუნქციონირების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მათ შორის:

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და გადახდის წესის“ დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2003 წლის 8 სექტემბრის №17 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2007 წლის 18 აპრილის № 7 დადგენილება.

კომისიის მიერ 2003 წლის 8 სექტემბერს მიღებულ იქნა №17 დადგენილება „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში რეგულირების საფასურის გაანგარიშებისა და გადახდის წესის დამტკიცების შესახებ“. ამ დადგენილებით, რეგულირების საფასურის გადამხდელები იყვნენ მხოლოდ ლიცენზიატები, რასაც ითვალისწინებდა იმ პერიოდში მოქმედი კანონმდებლობა.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებებით რეგულირების საფასურის გადამხდელებად განისაზღვრნენ: ლიცენზიატები, იმპორტიორები და მიმწოდებლები, ასევე “დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების საფასურის გადამხდელად განისაზღვრა ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორიც. შესაბამისად ყველა ეს ცვლილება აისახა დადგენილების პროექტში.

იმის გამო, რომ საანგარიშო წელს მოხერხდა ლიცენზიატების მიერ კომისიის ბიუჯეტისადმი გასულ წლებში დაგროვილი რეგულირების საფასურის დავალიანების გადახდა, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელდა რეგულირების საფასურის კოეფიციენტის სიდიდის შემცირება. შესაბამისად, ელექტროენერგეტიკის სექტორში კოეფიციენტი შემცირდა 0,004-დან 0.0035-მდე, ხოლო ბუნებრივი გაზის სექტორში – 0,006-დან 0,004-მდე, კოეფიციენტი მიმწოდებლებს შეუმცირდათ 0.006-დან 0.003 –მდე.

„ელექტროენერგეტიკის გამანაწილებელი კომპანიების მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერგეტიკის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2007 წლის 30 მაისის № 9 დადგენილება

აღნიშნული დადგენილების მიღება განაპირობა, იმ ფაქტმა, რომ საქართველოს მთავრობას, სს ”საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“,

შპს „აჭარის ენერგოკომპანიას“, ერთის მხრივ და, მეორეს მხრივ, „ენერგო-პრო ეი.ეს.“-ს და სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ შორის დაიდო „ჰიდროელექტროსადგურებისა და ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება“, რომელიც ითვალისწინებდა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“, შპს „აჭარის ენერგოკომპანიის“ და რიგი ჰიდროელექტროსადგურების აქტივების სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ საკუთრებაში გადაცემას. ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი იყო ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესი, რომელიც ითვალისწინებდა უმრიცხველო მომხმარებლებისათვის მოხმარებული ელექტროენერჯის დარიცხვის პირობებს.

ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულებზე ხელმოწერის ერთ-ერთი წინაპირობა იყო კომისიის მიერ ზემოაღნიშნული წესის დამტკიცება.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, კომისიის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა სს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ და შპს „აჭარის ენერგოკომპანიის“ განაწილების არეალში არსებული მომხმარებლებისათვის ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესის დამტკიცებას. დადგენილების მოქმედების ვადა განისაზღვრა ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების მიერ მომხმარებლების სრულ ინდივიდუალურ გამრიცხველიანებადღე, მაგრამ არაუმეტეს 10 (ათი) წლის ვადით, როგორც ეს გათვალისწინებულია ზემოაღნიშნულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში.

**„ბუნებრივი გაზის ტარიფების დადგენის წესისა და მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 1999 წლის 8 სექტემბრის N6 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2007 წლის 16 ოქტომბრის №17 დადგენილება**

ამ დადგენილების მიღება განაპირობა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილმა ცვლილებებმა. კერძოდ, მეთოდოლოგიაში აისახა ის ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივი გაზის მიწოდების, ტრანსპორტირების, განაწილების და მოხმარების სტადიებზე ზღვრული ტარიფის დადგენის შესაძლებლობას. მომხმარებელთა კატეგორიების დაყოფას არამართო წნევების მიხედვით.

**„საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2003 წლის 24 სექტემბრის №18 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ. საქართველოს ენერგეტიკის**

მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) 2007 წლის 26 ოქტომბრის № 19 დადგენილება.

აღნიშნული დადგენილების პროექტის შემუშავება განპირობებული იყო საკანონმდებლო აქტებში შესული ცვლილებების მოქმედ დებულებაში ასახვის, ასევე კომისიის აპარატის სტრუქტურის ოპტიმიზაციის, მისი ფუნქციონირების სრულყოფისა და კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.



## სერტიფიკაცია

მიმდინარე ეტაპზე კომისიის წინაშე დადგა ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატებისა და მომხმარებლების შორის ურთიერთობის ისეთი ახალი ფორმის დანერგვა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასთან. პირველ რიგში, საჭიროა კომისიამ შეიმუშაოს და დანერგოს მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის მონიტორინგის სისტემა.

აღნიშნული სისტემის დანერგვას რეკომენდაცია გაუწია ერა-ამ (ენერჯეტიკის რეგულირების რეგიონალური ასოციაცია). ეს სისტემა შესაბამისი სტანდარტებით მოქმედებს მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში, ასევე ხდება მისი დანერგვა ერა-ში შემავალ ქვეყნებში (უნგრეთი, უკრაინა, სომხეთი და სხვა).

მომსახურების ხარისხის მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს განაწილების ლიცენზიატების მიერ ლიცენზიის პირობების დაცვას და მათ ხარისხიანად შესრულებას, ასევე იგი საშუალებას იძლევა, ლიცენზიატების მომსახურების ხარისხი გაუთანაბრდეს მსოფლიოში აღიარებული კომუნალური მომსახურების სტანდარტებს.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იმ ქვეყნებში, სადაც დანერგილია აღნიშნული სისტემა, ბევრად უფრო ეფექტიანია მარეგულირებელი ორგანოების მიერ ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატების საქმიანობის მონიტორინგი.

სისტემა განსაკუთრებით ხელს უწყობს ელექტროენერჯის მიწოდების საიმედოობის გაზრდას, წყვეტების რაოდენობისა და ხანგრძლივობის შემცირებას, მომხმარებელთა მიმართვებზე და საჩივრებზე პასუხის დროულად გაცემის დამკვიდრებას.

მომსახურების ხარისხის მონიტორინგის სისტემა შეიცავს:

1. მომხმარებელთა ელექტროენერჯით მომარაგების საიმედოობას (უწყვეტობას), რომელიც გულისხმობს ელექტროენერჯის მიწოდების წყვეტის შესამცირებლად საჭირო ღონისძიებების გატარებას,

2. კომერციულ ხარისხს, რომელიც ხასიათდება ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატისა და მომხმარებლების ურთიერთობით (ქსელთან მიერთება, აღრიცხვის ხელსაწყოების დაყენება, ანგარიშების წარდგენა, პასუხი მომხმარებელთა საჩივრებსა და მიმართვებზე და სხვა).

2007 წელს კომისიამ მიმართა მსოფლიო ბანკის საქართველოს წარმომადგენლობას, დახმარება გაეწია საკონსულტაციო სამუშაოების ჩატარებაში ელექტროენერჯის მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის მონიტორინგის სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით.

მსოფლიო ბანკის მიერ კომისიაში 2007 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მოვლინებული იქნა სპეციალისტი, რომელმაც კომისიის მუშაკებთან ერთად შეისწავლა საქართველოს ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატების მომსახურების ხარისხის საკითხებთან დაკავშირებული მდგომარეობა. მოხდა მათი განხილვა და გაანალიზება რამდენიმე სამუშაო შეხვედრაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ გამანაწილებელი ლიცენზიატების წარმომადგენლები, გამოთქმული

შენიშვნებისა და მოსაზრებების შემდეგ მსოფლიო ბანკის სპეციალისტის მიერ შემუშავებულ იქნა წინადადებები და რეკომენდაციები აღნიშნული სისტემის დასანერგად.

საანგარიშო წელს კომისიაში შეიქმნა მუშა ჯგუფი ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატების მიერ მომხმარებელთა მომსახურების ხარისხის მონიტორინგის სისტემის შესამუშავებლად. დამუშავებულ იქნა აღნიშნული სისტემის მონიტორინგის პროექტი, რომელიც მოიცავს:

ა) ელექტროენერჯის წყვეტის რეგისტრაციის ფორმას და მისი შევსების წესს.

ბ) კომისიაში წარსადგენი ელექტრომომარაგების უწყვეტობის ანგარიშის ფორმას და მისი შევსების წესს.

გ) ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატების კომპანიების მიერ კომისიაში წარმოდგენილი მონაცემების შემოწმების წესს.

აღნიშნულ სისტემის დანერგვასთან დაკავშირებით სამუშაოები გრძელდება და იგი დასრულდება 2008 წლის განმავლობაში.

2007 წელს კომისიამ სს „თელასის“ წარმომადგენლებთან ერთად კვლავ გააგრძელა 2005-2006 წლებში დაწყებული ელექტროენერჯის ხარისხის მაჩვენებლების (სიხშირის და ძაბვის გადახრები) ცვალებადობაზე ჩატარებული მონიტორინგის სამუშაოები, თბილისში განლაგებული, „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ მაღალი ძაბვის იმ ქვესადგურებში, რომელთაგანაც ხდება სს „თელასის“ მომხმარებელთათვის ელექტროენერჯის მიწოდება. მონიტორინგის სამუშაოები ხორციელდებოდა 220 კვ ძაბვის ქვესადგურებში (გლდანი, დიდუბე, დიდი ნავთლული, ლისი) და ორ ჰიდროელექტროსადგურში: ორთაჭალაჰესი, თეთრიხევიჰესი.

ანალიზის დროს გამოყენებულ იქნა საქართველოში მოქმედი ნორმატიული დოკუმენტი (**გოსტ 13109-97**) „საერთო დანიშნულების ელექტრომომარაგების სისტემაში ელექტრული ენერჯის ხარისხის ნორმები“. აღსანიშნავია, რომ სიხშირისა და ძაბვის გადახრების რიცხობრივი მაჩვენებლები შესაბამისობაში აღმოჩნდა აღნიშნული სტანდარტების მოთხოვნებთან.

## საზოგადოებასთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობა

### *საზოგადოებასთან ურთიერთობა*

საზოგადოების ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდისა და მეტი გამჭვირვალობის მიზნით, 2007 წლის იანვრიდან გაგრძელდა კომისიის „საინფორმაციო ბიულეტენის“ რეგულარულად გამოცემა. ბიულეტენი, რომელშიც კომისიის მიერ 2007 წლის მანძილზე მიღებული დადგენილებები და გადაწყვეტილებები გამოქვეყნდა, განკუთვნილია და ხელმისაწვდომია როგორც ენერგეტიკის დარგში მოქმედი ლიცენზიატებისთვის და სხვა პირებისათვის, ასევე, მასმედიისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დაინტერესებული მომხმარებლისათვის.

საზოგადოებისთვის ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის სექტორში ნებისმიერი ცვლილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს ცვლილება შეეხება ტარიფებს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. 2007 წლის 1 მაისამდე, ბუნებრივი გაზის ახალი სამომხმარებლო ტარიფების ძალაში შესვლამდე, კომისიამ ჩაატარა ანალიტიკური და საინფორმაციო კამპანია, რაც მიზნად ისახავდა საზოგადოებისათვის მაქსიმალურად ობიექტური ინფორმაციის მიწოდებას იმ მიზეზებსა და გარემოებებზე, რამაც განაპირობა ბუნებრივი გაზის ტარიფების მატება. ჩატარებულმა საინფორმაციო კამპანიამ მოიცვა მასმედიის ყველა საშუალება და, შესაბამისად, საზოგადოების ფართო სპექტრი. კომისიის მიერ ამგვარი სტრატეგიის მომზადებისა და განხორციელების აუცილებლობა განაპირობა ისეთ მაკროეკონომიკურ ფაქტორთა ზეგავლენამ, როგორცაა 2007 წლის დასაწყისიდან რუსეთიდან იმპორტირებული ბუნებრივი გაზის ფასის ორჯერ გაზრდა 235 აშშ დოლარამდე (ნეგატიური ფაქტორი) და ქვეყნის გაზომარაგების წყაროების დივერსიფიკაცია (პოზიტიური ფაქტორი) და ასევე, იმ ფაქტმაც, რომ შექმნილ სიტუაციაში კომისიას მიწოდების ტარიფების არსებითად გაზრდის მოთხოვნით მიმართა ბუნებრივი გაზის იმპორტიორმა ყველა კომპანიამ – სს „იტერა-საქართველო“, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულმა კორპორაციამ“, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისმა“ და ყველა გაზგამანაწილებელმა ლიცენზიატმა.

საანგარიშო წლის მანძილზე კომისია თანამშრომლობდა ყველა საინფორმაციო საშუალებასთან, ჩატარდა მრავალი მიზნობრივი შეხვედრა მასმედიის წარმომადგენლებთან.

ყველა საჭირო შემთხვევაში, კომისია მიზანმიმართულად თანამშრომლობდა ენერგეტიკის დარგში საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციებისა და კომპანიების – აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), ESBI, PA-Consalting, PAO EDC-ის სამსახურებთან და სხვა.

2007 წელს აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) კვლავაც განაგრძო პროექტის – „დიალოგი მასმედიასა და ენერგეტიკული სექტორის

წარმომადგენლებს შორის“ განხორციელება. პროექტი მიზნად ისახავდა მასშტაბის მაქსიმალურ ინფორმირებასა და ჩართვას ენერგეტიკულ სექტორში მიმდინარე პროცესებში. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი იყო კომისიის საქმიანობის შემაჯავებელი პრეზენტაციის მომზადება, რომლითაც კომისია 2007 წლის სექტემბერში, ქ. ბათუმში, USAID-ის მიერ პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ წარმომადგენლობით შეხვედრაზე წარსდგა. შეხვედრას ესწრებოდნენ ენერგეტიკის დარგში მოქმედი ყველა უწყების პირველი პირი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების თანამშრომლები და მასშტაბის წარმომადგენლები. შეხვედრის დასასრულს ჟურნალისტებს შორის ჩატარებულმა რეიტინგულმა კვლევამ კომისიის საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტი, კომუნიკაციის სტრატეგიის, ინფორმაციის მიწოდებისა და გამჭვირვალობის თვალსაზრისით, საუკეთესოდ დაასახელა.

წლის განმავლობაში კომისია აქტიურად თანამშრომლობდა არასამთავრობო სექტორთან, კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან: „კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი“ (CENN), „მწვანე ალტერნატივა“, „ეკონედვა“. შეხვედრები შედგა შემდეგ საკითხებზე: ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ტარიფების სტრუქტურა; საერთო მოხმარების მრიცხველებთან დაკავშირებული პრობლემები და მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინება; ენერგეტიკის სექტორში მიმდინარე პროცესებზე ობიექტური საზოგადოებრივი აზრის ფორმირება; გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში არასამთავრობო სექტორის გათვალისწინება და სხვა.

### ***საერთაშორისო ურთიერთობები***

კომისია აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და უზრუნველყოფს მუდმივ კავშირს: ენერგეტიკის რეგულირების რეგიონულ ასოციაციასთან (ERRA), აშშ-ის კომუნალური მომსახურების რეგულატორთა ეროვნულ ასოციაციასთან (NARUC) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID).

2007 წელს კომისიის წევრები და აპარატის თანამშრომლები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გამართულ, ენერგეტიკის რეგულირებისადმი მიძღვნილ კონფერენციებში, სემინარებსა და ტექნიკური გაცვლის პროგრამებში.

კომისია სხვა ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან ერთად წარმოადგენს ენერგეტიკის რეგულატორთა რეგიონალური ასოციაციის (ERRA) წევრ-დამფუძნებელს და აქტიურად მონაწილეობს ERRA-ს ეგიდით მოწყობილ ღონისძიებებში. ERRA-ს სამუშაო კომიტეტების შეხვედრების დროს განიხილება ERRA-ს წევრი ქვეყნების ენერგეტიკის დარგში მიმდინარე მოვლენები, ხორციელდება ინფორმაციის და არსებული გამოცდილების ურთიერთგაცვლა, წარმოებს ფასთა ინდექსის შედარება, იგეგმება სხვადასხვა სახის სემინარები და სასწავლო პროგრამები, საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროპულ

კანონმდებლობასთან და ენერგეტიკული სისტემების ტექნიკური სტანდარტების გაუმჯობესება.

2007 წლის ნოემბერში ქ. ბუდაპეშტში (უნგრეთი), კონკურენციის ხელშემწყობი ორგანიზაციებისა და მარეგულირებელი კომისიების მონაწილეობით, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ეძღვნებოდა ელექტროენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციას, რეგიონული ბაზრების შექმნის მნიშვნელობას, კონკურენტული ორგანოსა და რეგულატორების ურთიერთობას. ელექტროენერგეტიკული ბაზრის ლიბერალიზაციისათვის ჩატარებული რეფორმების წარმატებით განხორციელების კუთხით კომისიის პრეზენტაციამ განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა.

2007 წლის 11-15 ნოემბერს, ქ. რომში, ენერგეტიკის მსოფლიო საბჭოს (WEC) ვეგდით გაიმართა მე-20 მსოფლიო ენერგეტიკული კონგრესი. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად მიიწვიეს წარმომადგენლები ენერგეტიკის მარეგულირებელი ორგანოებიდან, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ორგანიზაციებიდან, კონსულტანტები, ინვესტორები, სპეციალიზირებული ჟურნალისტები სხვადასხვა ქვეყნებიდან. კერძოდ, იტალიიდან, ავსტრიიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კანადიდან, საბერძნეთიდან, მექსიკიდან, თურქეთიდან, ინგლისიდან, შვედეთიდან, ნორვეგიიდან, არგენტინიდან, ბრაზილიიდან, დანიიდან, ირლანდიიდან, ესპანეთიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, ფინეთიდან, ინდოეთიდან, ბელგიაიდან, იაპონიიდან და სხვა. საქართველოდან მსოფლიო ფორუმს ესწრებოდნენ კომისიის წარმომადგენლები. კონფერენციაზე განიხილეს ენერგობაზრის ეფექტიანი რეგულირების საკითხები, ენერგოეფექტიანობის ზრდისა და განვითარების საშუალებები და სხვა მნიშვნელოვანი თემები.

2007 წელს, ელექტრომომარაგებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავებასთან დაკავშირებით, კომისია მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან თანამშრომლობდა. კომისიაში მიწვევით იმყოფებოდა მსოფლიო ბანკის ექსპერტი, რომელთან ერთად კომისიის თანამშრომლებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები ელექტრომომარაგების საიმედოობისა და მომსახურების კომერციული ხარისხის მაჩვენებელთა მონიტორინგის ინსტრუქციების შესადგენად. აღნიშნულთან დაკავშირებით ნორმატიული დოკუმენტების მიღება 2008 წლისთვის იგეგმება.

საანგარიშო წელს კომისია გახდა ევროპის ქვეყნების ენერგეტიკის რეგულირების საზოგადოებრივი საბჭოს (ECRB) დამკვირვებელი წევრი, რაც უდაოდ საგულისხმო და მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა კომისიისათვის ევროპული რეგულირების პროცესების გასაცნობად და გამოცდილების ასამაღლებლად.

ასევე, კომისია აქტიურად თანამშრომლობდა აშშ-ის კომუნალური მომსახურების რეგულატორთა ეროვნულ ასოციაციასთან (NARUC) და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) ამერიკის შესაბამისი მარეგულირებელი კომისიებიდან პარტნიორი მარეგულირებელი კომისიის შესარჩევად, რაც უახლოეს მომავალში განხორციელდება.

## ენერგეტიკული სექტორის მდგომარეობა

### *1. ელექტროენერგეტიკა*

როგორც ცნობილია, ელექტროენერგეტიკა ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე დინამიკურად განვითარებადი და მისი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური სტაბილურობის განმსაზღვრელი დარგია. ეკონომიკური თვალსაზრისით მისი როლი ჩანს მისი წვლილით მთლიან შიდა პროდუქტში, სადაც მასზე მრეწველობაში წარმოებული შიდა პროდუქტის 20%-მდე მოდის, დასაქმებულია 13 ათასი ადამიანი, რომელთა საშუალო ხელფასი აღემატება 500 ლარს. ენერგომომარაგების სტაბილურობა და ენერგეტიკაში მოქმედი ფასწარმოქმნის მექანიზმები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენენ ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე, როგორც მატერიალური, ასევე ფსიქოლოგიური ფონის თვალსაზრისით. ენერგეტიკული უსაფრთხოება ქვეყნის უსაფრთხოების უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. უკანასკნელ წლებში ქვეყანაში მოქმედი ელექტროენერგეტიკული ბაზარი მნიშვნელოვნად გაჯანსაღდა და თანდათან გადადის კონკურენტულ-საბაზრო ურთიერთობათა სფეროში, რაც გაპირობებულია სწორი პოლიტიკური კურსით, შესაბამისი საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზით და კომისიის მარეგულირებელი ზემოქმედებებით.

ცნობილია, რომ თავის საქმიანობაში კომისია ხელმძღვანელობს „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“, „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ და სხვა კანონებით, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მიერ დამტკიცებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებით“ და სხვა ნორმატიული აქტებით.

კომისია ხელს უწყობს სახელმწიფოს პოლიტიკის განხორციელებას ენერგეტიკულ, ეროვნული უსაფრთხოების, სოციალურ, ეკოლოგიურ და სახელმწიფო პოლიტიკის სხვა სფეროებში, რისთვისაც ადგენს ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, იმპორტის საქმიანობის, ასევე ამ სფეროში ლიცენზირების წესებსა და ნორმებს; ადგენს და არეგულირებს საბითუმო და საცალო ტარიფებს ელექტროენერჯის წარმოებაზე, გადაცემაზე, დისპეტჩერიზაციაზე, განაწილებასა და გატარებაზე, იმპორტსა და მოხმარებაზე; იხილავს დავებს ელექტროენერჯის წარმოების, გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, იმპორტის და მოხმარების სფეროში; ახორციელებს კონტროლს და მონიტორინგს ელექტროენერგეტიკის სფეროს ლიცენზიატების საქმიანობაზე და, აგრეთვე ორგანიზებას და კოორდინაციას უწევს ამ სფეროში სერტიფიცირების სამუშაოებს.








ჩვენი ქვეყნის ელექტროენერგეტიკულმა ბაზარმა (ფუნქციონალური სტრუქტურა ნახ. 1) უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. საქართველოს ერთიან ელექტროენერგეტიკულ სისტემაში შემავალი ყველა ელექტროსადგურის მიერ გამოშვებული და საქართველოში იმპორტირებული ელექტროენერგიისა და სიმძლავრის ყიდვა-გაყიდვა ხორციელდება მხოლოდ პირდაპირი ხელშეკრულებების ან სისტემის კომერციული ოპერატორის მეშვეობით. (2007 წლის მონაცემები მოცემულია ნახ. №2), „ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის“ ნაცვლად შეიქმნა „სისტემის კომერციული ოპერატორი“, რომლის ფუნქციებში შედის საბალანსო ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ყიდვა-გაყიდვა (მათ შორის, იმპორტზე და ექსპორტზე საშუალო და გრძელვადიანი ხელშეკრულებების გაფორმების გზით), სიმძლავრის სასისტემო რეზერვით უზრუნველყოფა, ელექტროენერგიის საბითუმო ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად კვალიფიციური საწარმოების რეგისტრაცია და ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვის შესახებ ერთიანი ბაზის, მათ შორის აღრიცხვიანობის ერთიანი რეესტრის შექმნა და წარმოება და ა.შ.

2007 წელს მოხმარებული ელექტროენერგია (კვტ.სთ)

ნახ.№2




ელექტროენერგეტიკული ბაზრის განვითარებაში არსებული ტენდენციები ანგარიშში მოყვანილ გრაფიკულ მასალებში (ნახ. №№3, 4) მოცემულია ელექტროენერგიის წარმოების, ხოლო ნახ. №5-ზე ელექტროენერგიის მოხმარების დინამიკა 2003 – 2007 წწ-ში. გასული წლის უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტის დადებითი სალდო (ნახ. №№6-7), რაც უზრუნველყოფილი იყო „სისტემის კომერციული ოპერატორისა“ და „ენერგო-პრო ჯორჯიას“ მიერ განხორციელებული ელექტროენერგიის გაცვლის ხელშეკრულებით მეზობელ ქვეყნებთან (რუსეთი, თურქეთი, აზერბეიჯანი), როდესაც წყალუხვობის პერიოდში საქართველოში წარმოებული ჭარბი ჰიდროენერგია გადის ექსპორტზე და

შემდგომ ზამთრის თვეებში ქვეყანაში იაფი ჰიდრორესურსების დეფიციტის დროს ბრუნდება უკან. ამ შემთხვევაში კომისიის მიერ დადგენილი იქნა იმპორტის ტარიფის გამოსათვლელი ფორმულა, რომლითაც იმპორტის ტარიფი იანგარიშება ექსპორტირებული ელექტროენერგიის ფაქტიური ღირებულებიდან გამომდინარე, ეს ხელს შეუწყობს ზამთრის თვეებში ელექტროენერგიის წარმოების საშუალო შეწონილი ტარიფის შემცირებას და არ იმოქმედებს სამომხმარებლო ტარიფის გაძვირებაზე.


ელექტროენერგიის ბალანსი 2007 წელს (მლნ.კვტსთ)

ნახ. №3




ნახ. №4


ელექტროენერგიის გამოიშვება 2003-2007წწ. (ათასი კვტსთ)



ნახ. №5




ნახ. №6



ნახ. №7

## ელექტროენერჯის ექსპორტი (კვტ.სთ)




ელექტროენერგეტიკული სექტორის შემდგომი კომერციალიზაციისა და ეკონომიკური გაჯანსაღების აუცილებლობიდან გამომდინარე, ახალი ინვესტიციების მოზიდვისა და კონკურენციის განვითარების მიზნით, თანახმად საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებული „საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებისა“, პრივატიზაციას დაექვემდებარა ელექტროენერჯის სადისტრიბუციო კომპანიები და ელექტროსადგურები. თანამედროვე პირობებში პრივატიზებულია ყველა გამანაწილებელი კომპანია და ელექტროსადგურების უდიდესი ნაწილი (გარდა „ენგურჰესის“ და „ვარდნილჰესების კასკადისა“, „თბილსრესისა“, აგრეთვე გრძელვადიანი მართვის უფლებითაა გაცემული „ხრამჰესი I და II“.) საანგარიშო 2007 წელს პრივატიზებულ იქნა „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანიის“ და „აჭარის ენერჯოკომპანიის“ აქტივები, რომელიც შეიძინა კომპანია „ენერჯო-პრო“-მ. ამავე კომპანიამ შეიძინა ექვსი ელექტროსადგური („რიონჰესი“, „ლაჯანურჰესი“, „ძვერულაჰესი“, „აწჰესი“, „გუმათჰესების კასკადი“, „შაორჰესი“) და ფუნქციონირება დაიწყო 2007 წლის ივლისიდან, აგრეთვე პრივატიზებულ იქნა „ზაჰესი“ კომპანია „ბონესერ ტრედიინგ ლიმიტედ“-ის მიერ.

წარმოებული ელექტროენერჯის სტრუქტურის ანალიზიდან ჩანს (ნახ 8), რომ ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერჯის 82,3% მოდის განახლებადი ენერჯორესურსების (ჰიდრორესურსების) გამოყენებაზე. თანამედროვე პირობებში აქტიურად ვითარდება პროექტები ბიორესურსებისა და ქარის ენერჯის გამოყენებასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნული დადებითად იმოქმედებს ქვეყანაში არსებულ ეკოლოგიურ ფონზე, გააძლიერებს ქვეყნის ენერჯოუსაფრთხოებას და სტაბილურს გახდის წარმოებული ელექტროენერჯის საშუალო შეწონილ ფასს.

ნახ. №8

ელექტროსადგურების მიერ სალტეზე გაშვებული ელექტროენერჯია 2007წ. (მლნ.კვტსთ)




ენერგეტიკული რესურსების მოპოვების გაფართოების, განახლებადი (ალტერნატიული) ენერჯის წყაროების უპირატესი ათვისების, ენერგოეფექტიანი ღონისძიებების ხელშეწყობის და განხორციელებული ინვესტიციების ამოღების ხელშეწყობის მიზნით ახლადაშენებული ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯია (სიმძლავრე) ექვემდებარება სრულად ან ნაწილობრივ სავალდებულო წესით შესყიდვას და მათ კომისია წინასწარ უდგენს სისტემის კომერციული ოპერატორის მიერ შესყიდვის გრძელვადიან ტარიფებს. ამასთან, საანგარიშო წელს ახლადაშენებული ელექტროსადგურების წინასწარი სავარაუდო ტარიფების შეთანხმების მიზნით განაცხადით შემოვიდნენ „ენერგოარაგვი“, „ფარავანჭესი“, „ბჟუჟა 2“ და სხვები. კომისიამ პროცედურებით დადგენილ ვადებში განიხილა წარმოდგენილი მასალები და შეითანხმა წინასწარი ტარიფები, რომელთა დაზუსტება და დამტკიცება მოხდება მშენებლობის დასრულების და სადგურის გაშვების შემდეგ, დადგენილი პროცედურების დაცვით.

2006 წლის სექტემბრიდან „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, დერეგულირებულ იქნა მცირე სიმძლავრის (10 მეგავატის ჩათვლით) ელექტროსადგურები და მათ ლიცენზიისა და ტარიფის გარეშე საქმიანობის უფლება მიეცათ, ხოლო ნაწილობრივად დერეგულირებულ იქნა წარმოების ლიცენზიატები (გარდა „ენგურჰესისა“ და „ვარდნილჰესების კასკადისა“), რომელთაც დაუდგინდათ ზღვრული ტარიფები (ნახ. 9 მოცემულია 2007 წელს გამოშვებულ ენერჯიაში მცირე სადგურების, ზღვრული და ფიქსირებული ტარიფებით წარმოებული და იმპორტირებული ელექტროენერჯის სტრუქტურა).

ნახ. №9

რეგულირებადი, ზღვრული და თავისუფალი ტარიფებით რეალიზებული ელექტროენერჯია (მლნ.კვტსთ; %)



- ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯია – რეალიზდება რეგულირებადი ტარიფით
- ელექტროსადგურების მიერ წარმოებული ელექტროენერჯია – რეალიზდება ზღვრული ტარიფით
- მცირე ჰესების მიერ წარმოებული ელექტროენერჯია – რეალიზდება თავისუფალი ტარიფით

ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის საიმედო ფუნქციონირებისათვის და ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდება-მომხმარების დასაბალანსებლად აუცილებელია გარკვეული სიმძლავრის სასისტემო რეზერვი, რომელიც უნდა დარეზერვდეს შესაბამისი კვალიფიციური საწარმოების მიერ. იმ შემთხვევაში, თუ კვალიფიციური საწარმოების მიერ არ იქნა დარეზერვებული სიმძლავრე საჭირო ოდენობით, სისტემის კომერციული ოპერატორი, რომელიც პასუხისმგებელია აღნიშნული საკითხის ორგანიზაციულ-ფინანსურ უზრუნველყოფაზე, შესაბამისი წესით არეზერვებს მას, ხოლო კვალიფიციური საწარმო ანაზღაურებს მის ღირებულებას. 2007 წელს დარეზერვებულ იქნა 462 427 152 კვტსთ ელექტროენერჯია (მათ შორის სს „ენერჯი ინვესტიდან“ - 448 612 353 კვტსთ; სს „თბილსრესიდან“ - 13 814 799 კვტსთ). გამოყენებული რეზერვის რაოდენობამ (სს „ენერჯი-ინვესტი“) შეადგინა- 12 253 410 კვტსთ. კომისია ადგენს სიმძლავრის სასისტემო რეზერვის და გამოყენებული რეზერვის ელექტროენერჯის წარმოების ტარიფებს. 2007 წელს აღნიშნული ტარიფები დაუდგინდათ „ენერჯი-ინვესტს“, „მტკვარი-ენერგეტიკას“ და „თბილსრესს“. გარდა ამისა, კომისია უდგენს სისტემის კომერციულ ოპერატორს სიმძლავრის სასისტემო რეზერვით უზრუნველყოფის ტარიფს, მათ მიერ წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე.

კომისიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა ლიცენზიატებს, იმპორტიორებს, ექსპორტიორებს, მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს, აგრეთვე სისტემის კომერციულ ოპერატორს შორის წარმოქმნილი სადაო საკითხების გადაწყვეტა თავისი კომპეტენციის ფარგლებში. დავების გადაწყვეტის პროცედურა რეგულირდება კომისიის 2000 წლის 6 აპრილის №4 დადგენილებით.

2007 წელს კომისიაში შემოვიდა 95 სადავო საკითხი, რომელიც ეხებოდა ელექტროენერგეტიკას. აქედან 6 საკითხზე მიღებულ იქნა კომისიის გადაწყვეტილება. დანარჩენი საკითხების უმრავლესობა მოგვარდა დეპარტამენტში ჩატარებული სამუშაო შეხვედრებით და გაგზავნილი წერილების საფუძველზე.

- დავების უმეტესი წილი საანგარიშო წელს მოდიოდა დავებზე გამანაწილებელ კომპანიებსა და საცალო მომხმარებლებს შორის (85%);

- დავები განაწილების ლიცენზიატებსა, ერთის მხრივ და, მეორეს მხრივ, განაწილების ქსელის ფრაგმენტების მფლობელ იურიდიულ პირებს, საცალო მომხმარებლებს და სხვა კვალიფიციურ საწარმოებს შორის ( 10 %);

- კვალიფიციურ საწარმოებს შორის (5 %);

საანგარიშო წელს გამწვავდა ურთიერთობები კომპანია „ენერგო-პრო ჯორჯიასა“ და ყოფილ მცირე ლიცენზიატებს (შპს „რობა“, შპს „მეოხი“, შპს „რუსენერგოსერვისი“ და ა.შ.) შორის, რომელთა განაწილების ლიცენზიები „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესებიდან“ გამომდინარე გაუქმდა კომისიის გადაწყვეტილებებით. კერძოდ, „ენერგო-პრო ჯორჯიამ“ შეუწყვიტა მათ ხელშეკრულებები ენერგეტიკული (გატარების) მომსახურების გაწევაზე, მათ საკუთრებაში არსებული აქტივების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტების

წარმოდგენის მოტივით. აღნიშნული დავის გადაწყვეტას კომისიამ ხუთი სამუშაო შეხვედრა მიუძღვნა. კომისიის მოთხოვნა „ენერგო-პრო ჯორჯიასადმი“ მის მიერ სხვისი კუთვნილი ქსელის გამოყენებისას გატარების მომსახურების საფასურის გადახდის აუცილებლობის შესახებ მოტივირებული იყო „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების“ 29-ე მუხლის, მე-4 პუნქტის გ) ქვეპუნქტით.

საანგარიშო წელს ძალზე აქტუალური იყო ურთიერთობა განაწილების ლიცენზიატებსა და საცალო მომხმარებლებს შორის, რომელიც უმეტესწილად გაპირობებული იყო სადისტრიბუციო კომპანიების მიერ კომისიის 2001 წლის 20 სექტემბრის №10 და 31 დეკემბრის №15, აგრეთვე 2007 წლის 30 მაისის №9 და 20 ივლისის №12 დადგენილებების არასწორი ინტერპრეტაციით.

2007 წელს გამანაწილებელ კომპანიებსა და მომხმარებლებს შორის დავები ძირითადად დაკავშირებული იყო:

- დარიცხული თანხების სამართლიანობის დადგენასთან (როგორც საერთო მოხმარების მრიცხველით, ასევე დავალიანების და უმრიცხველოდ მოხმარებული ენერჯის შემთხვევაში);

- მრიცხველის გამართულად მუშაობის დადგენასთან;

- ბინის ახალი მესაკუთრეების მიმართ, ძველი მესაკუთრის მიერ დაგროვილ ვალეებზე;

- ელექტროენერჯის დატაცებასთან;

- იძულებით გადაადგილებულ პირთა ელექტრომომარაგებაში არსებულ პრობლემებთან;

- კომპანიების მიერ საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისათვის განკუთვნილი საფეხურებრივი ტარიფით დარიცხვისას 30 დღიანი ვადის დაცვასთან;

- ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასურის გადახდასთან და ა.შ.

კომისიაში შემოსული საჩივრებიდან, რომლებიც ეხება ლიცენზიატებსა და მომხმარებლებს შორის წარმოშობილი სადავო საკითხებს, აღსანიშნავია მოქალაქე ს. ჯიოშვილსა და სს „თელასს“ შორის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და სს „თელასს“ შორის, შპს „გზაპროექტსა“ და სს „თელასს“ შორის, შპს „ხევსა“ და „ენერგო-პრო“ ჯორჯიას“ შორის, სოფ.მარაბდის მოსახლეობასა და „ენერგო-პრო“ ჯორჯიას“ შორის და ა.შ დავები.

აღნიშნული საკითხების განხილვა ხდებოდა სამუშაო შეხვედრებზე მოდავე მხარეების, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურისა და კომისიის აპარატის თანამშრომელთა მონაწილეობით.

## **2. ბუნებრივი გაზის სექტორი**

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემას მომსახურებას უწევს საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია. 2008 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ექსპლუატაციაშია მაგისტრალური გაზსადენები და განშტოებები




საერთო სიგრძით 1940 კმ, რომლითაც ხორციელდება საქართველოს მომხმარებელთა ბუნებრივი გაზით მომარაგება და სატრანზიტო მომსახურება სომხეთისათვის. გაზსადენების მთლიანი საპროექტო წარმადობა შეადგენს 55 მლნ.მ<sup>3</sup> დღე-ღამეში, ანუ 20 მლარდ მ<sup>3</sup> წელიწადში.

ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირება საქართველოს მაგისტრალური გაზსადენებით რუსეთიდან და აზერბაიჯანიდან ნაჩვენებია სქემაზე-დანართი №2.

2007 წლისათვის ბუნებრივი გაზის მოწოდებამ სულ შეადგინა 3738 მლნ. მ<sup>3</sup>, მათ შორის: ტრანზიტით სომხეთს მიეწოდა 2054 მლნ. მ<sup>3</sup>, საქართველოს – 1684 მლნ. მ<sup>3</sup>. ტექნოლოგიურმა დანაკარგმა შეადგინა 3.9 მლნ. მ<sup>3</sup>

ქვემოთ გრაფიკულად ნაჩვენებია 2000-2007 წლებში საქართველოსათვის მოწოდებული ბუნებრივი გაზის მოცულობები (მლნ. მ<sup>3</sup>).

## გრაფიკი №3



მაგისტრალური გაზსადენების მნიშვნელოვანი ნაწილი ექსპლუატაციაშია 30 და მეტი წლის განმავლობაში. ამასთან უკანასკნელი 15 წელი ფუნქციონირებს აქტიური ელექტროქიმიური დაცვის გარეშე. აღნიშნულის გამო მნიშვნელოვნადაა შესუსტებული გაზსადენების მუშაობის საიმედოობა. ინფორმაცია საქართველოს ბუნებრივი გაზით მომარაგების შესახებ მოცემულია დანართებში №10-14.

საანგარიშო პერიოდში მაგისტრალური გაზსადენების ფაქტიური დატვირთვა შეადგენდა 18 %-ს. ბუნებრივი გაზის მომწოდებლები იყვნენ: გაზპრომექსპორტი, სს „იტერა-საქართველო“, გერმანული კომპანია „3MB ГМНХ“, აზერბაიჯანული საწარმოო გაერთიანება „აზერიგაზნეგლ“-ი.

აღნიშნულ პერიოდში გაზის ტრანსპორტირების კომპანია თავის საქმიანობას წარმართავდა „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის, მაგისტრალური გაზსადენების ობიექტების ტექნიკური და უსაფრთხო ექსპლუატაციის წესების მოთხოვნების შესაბამისად.

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების ექსპლოატაციას აწარმოებდა საგურამოს, ქვეშეთისა და თერჯოლის სახაზო-საექსპლოატაციო ფილიალები.

ბუნებრივი გაზის დანაკარგების შემცირებისა და სისტემის უსაფრთხო ექსპლუატაციის მიზნით საანგარიშო პერიოდში ფილიალების მიერ ტარდებოდა მაგისტრალური გაზსადენების ცალკეული უბნების რეაბილიტაციის, მოძველებული გაზის ხარჯის აღმრიცხველი ხელსაწყოების შეცვლის, ჩამკეტი და მარეგულირებელი

არმატურის პროფილაქტიკურ-სარემონტო სამუშაოები და მაგისტრალური გაზსადენების ექსპლუატაციის წესებით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებები.

კაპიტალურ რემონტს საჭიროებს ქ. თბილისის გაზმომარაგების სისტემა, რადგან გაზსადენები და მისი ინფრასტრუქტურა ავარიულ მდგომარეობაშია. რიგ აბონენტებთან დამონტაჟებულია მოძველებული ტიპის მწყობრიდან გამოსული და არასტანდარტული მრიცხველები, რომელიც შეცვლას მოითხოვს.

ამჟამად ქ. თბილისის გაზმომარაგება ხორციელდება 2420 კმ-მდე სიგრძის გაზსადენით, მათ შორის 232 კმ მაღალი, 811 კმ საშუალო და 1377 კმ დაბალი წნევის გაზსადენით. ქალაქში გაზი შემოდინება 3 სათაო გაზგამანაწილებელი სადგურიდან. ფუნქციონირებს 643 გაზგამარეგულირებელი პუნქტი და საკარალო დანადგარი.

შპს “გაზტრანსგაზ-თბილისმა”, რომელმაც შეიძინა გაკოტრების მასაში შემავალი სს „თბილგაზის“ უძრავ-მოძრავი ქონება, 2006 წელს სემეკისაგან მიიღო ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზია და შეუდგა ქ. თბილისის აბონენტთა გაზმომარაგებას. 2007 წელს შპს “გაზტრანსგაზ-თბილისის” აბონენტთა რაოდენობამ საყოფაცხოვრებო მომხმარებლებში (მოსახლეობაში) შეადგინა 301511 ერთეული, სამრეწველო და კომუნალურ მომხმარებლებში – 6039 ერთეული.

ინვესტორს - სს “გაზტრანგაზს” ქ. თბილისის გაზმომარაგების სისტემების შეძენისა და აღდგენის პროექტში მთლიანობაში გათვალისწინებული აქვს 92,32 მილიონი აშშ დოლარის ინვესტირება 2006-2011 წ.წ. პერიოდში, მათ შორის 12,5 მილიონი აშშ დოლარი - აქტივების შეძენისათვის, ხოლო 79,82 მილიონი აშშ დოლარი - გაზმომარაგების სისტემების აღდგენისათვის.

2007 წელს კომისიის მიერ განხილულ იქნა ბუნებრივი გაზის ლიცენზიატებს შორის წამოჭრილი 3 სადავო საკითხი და, მომხმარებელთა და ლიცენზიატებს შორის არსებული 5 სადავო საკითხი, რომელთაგანაც 4 საკითხი გადაწყდა მომხმარებელთა სასარგებლოდ.

## სამომავლო გეგმები

კომისია 2008 წლისათვის ახალი ამოცანების წინაშე დგას. უკვე დღის წესრიგში დადგა წყალმომარაგების რეგულირების საჭიროება. როგორც ცნობილია, „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში 2007 წლის 20 ნოემბრის კანონით შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შესაბამისად, კომისიას მიენიჭა სასმელი წყლის მიწოდებისა და ჩანადენი სითხის გატარება—გაწმენდის სფეროში სატარიფო რეგულირების ფუნქცია. ნავარაუდევია აგრეთვე, რომ კომისიამ უნდა შეიმუშაოს წყლის მოხმარების წესებიც. წყალმომარაგების სექტორის რეგულირების ფუნქციის შექმნით მნიშვნელოვნად იზრდება კომისიის სამუშაოთა მოცულობა. ცნობილია, რომ ამჟამად ქვეყნის წყალმომარაგების ძირითადი ფონდები და ინფრასტრუქტურა რთულ პირობებში ფუნქციონირებს, განსაკუთრებით რეგიონებში. ამიტომ კომისიას დარგის განვითარების თანამედროვე ეტაპზე წყალმომარაგებასთან ერთად ეკისრება წყლის მოხმარებელთა ინტერესების დაცვაც. კომისიის მიერ შემუშავებულმა სატარიფო სისტემამ უნდა შექმნას წყალმომარაგებაში ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო, რომელიც უზრუნველყოფს დარგის არა მარტო აღდგენას, არამედ მის პერსპექტიულ განვითარებასაც. არანაკლებ მნიშვნელოვანია ამ სექტორში მიმდინარე პრივატიზებისადმი მხარდაჭერა და ხელშეწყობა, კონკურენტული ბაზრის ფორმირება. ტარიფები უნდა იყოს სამართლიანი; კანონის თანახმად, მის ხარჯზე არ უნდა განხორციელდეს მოხმარებელთა არც ერთი კატეგორიის და მიმწოდებელთა შორის პირდაპირი ან ჯვარედინი სუბსიდირება.

კომისიამ უკვე შეიმუშავა ღონისძიებები აღნიშნული ფუნქციის წარმატებით შესრულებისათვის. კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით, შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელსაც დაევალია წყალმომარაგების ტარიფის დადგენის მეთოდოლოგიის პროექტის შემუშავება, აგრეთვე ამ დარგის საწარმოთა რეესტრისა და მონაცემთა ბაზის შექმნა. შესაბამის დახმარებას ველოდებით საერთაშორისო ორგანიზაციებიდან.

წყალმომარაგების რეგულირების საკითხებთან ერთად გადასაწყვეტია მთელი რიგი სხვა პრობლემები ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის სექტორებშიც, კანონის შესაბამისად უნდა დაიხვეწოს არსებული ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა. გადაამუშავებას საჭიროებს ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების პროექტი, რომელიც დასრულების ფაზაშია. უნდა განხორციელდეს სამუშაოები დარგის რეგულირების რაციონალიზაციისა და სატარიფო მეთოდოლოგიის სრულყოფისათვის, რომელზეც მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს. დარგში ლიბერალური და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებისათვის. კომისიის საქმიანობის პრიორიტეტი იქნება სექტორის საფინანსო მდგომარეობის გაუმჯობესება, მოხმარებელთა უფლებების დაცვა, ლიცენზიატების მიერ სალიცენზიო პირობების შესრულება, გამანაწილებელი კომპანიების მიერ მოხმარებელთა ელექტრომომარაგების საიმედოობის მონიტორინგი

და, შესაბამისად, კანონით მინიჭებული უფლებებისა და ფუნქციების მაქსიმალურად უკეთ განხორციელება.

**საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების  
მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან არსებული  
მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის  
2007 წლის ანგარიში**

**თავი I. ზოგადი ნაწილი**

***1. სამსახურის შექმნა და უფლებამოსილება, სახელწოდების ცვლილება***

2003 წლის 22 ივლისს „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე, ენერგომომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან, მისი აპარატისაგან დამოუკიდებლად შეიქმნა მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური, რომლის საქმიანობა რეგულირების შემადგენელ საქმიანობას წარმოადგენს, ფინანსდება შესაბამის მარეგულირებელ ორგანოში გადახდილი რეგულირების საფასურიდან და აისახება მარეგულირებელი ორგანოს ბიუჯეტში ცალკე მუხლად.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ფუნქციები განსაზღვრულია „დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ“ საქართველოს კანონით.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ძირითად ფუნქციას წარმოადგენს:

- დაიცვას ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მომხმარებელთა ინტერესები;
- შეაფასოს მომხმარებლებზე სატარიფო და სხვა სახის სარეგულაციო ცვლილებათა გავლენა და მათი შედეგები;

- მიიღოს მონაწილეობა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ იმ ნორმატიული აქტების პროექტების მომზადებაში, რომლებმაც, შესაძლებელია, ზეგავლენა იქონიოს მომხმარებელთა ინტერესებზე.

საზოგადოებრივი დამცველის სამსახური თავისი ფუნქციების განხორციელებისას უფლებამოსილია:

- მარეგულირებელ ორგანოში მომხმარებელთა სახელით გამოვიდეს მხარედ;
- გაეცნოს ყველა იმ დოკუმენტაციას და მასალას, რომელიც კანონმდებლობით ნებადართულია მარეგულირებელი კომისიის მიერ გასაცნობად;
- წარმოადგინოს ინდივიდუალური მომხმარებელი მომსახურე კომპანიასთან დავაში.

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე 2007 წლის 20 ნოემბრის 5466 კანონის ძალაში შესვლიდან, ანუ 2007 წლის 18 დეკემბრიდან შეცვლილ იქნა ეროვნული მარეგულირებელი კომისიის სახელწოდება და შესაბამისად, საზოგადოებრივი დამცველის სამსახური იწოდება როგორც: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური.

## ***2. საზოგადოებრივი დამცველი, აპარატის სტრუქტურა და თანაშემწეები***

2005 წლის ოქტომბრის თვიდან საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველად დანიშნულ იქნა დავით მიქაუტაძე, რომელის საზოგადოებრივი დამცველის უფლებამოსილებებს ახორციელებდა კანონით დადგენილი ვადის ამოწურვამდე 2007 წლის ნოემბრამდე.

2007 წლის 30 ოქტომბერს საქართველოს სახალხი დამცველის 47-ე ბრძანების თანახმად შექმნილი დამოუკიდებელ ეროვნულ მარეგულირებელ ორგანოებთან მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის შესარჩევი საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველად შეირჩა ახალი კანდიდატი, მალხაზ ძიძიკაშვილი, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის 2007 წლის 19 ნოემბრის 230-ე ბრძანების თანახმად დანიშნულ იქნა შესაბამის თანამდებობაზე.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის ორი თანაშემწის შრომითი ხელშეკრულების გასვლის გამო საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიის მიერ 2007 წლის 4 დეკემბერს გამოცხადებულ იქნა კონკურსი და ამავე წლის 28 დეკემბერს შერჩეულ იქნა ახალი კანდიდატები.

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან არსებული მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის რიცხოვნება განსაზღვრულია კომისიის საშტატო განრიგით და 2007 წლის ბოლოსათვის შედგება საზოგადოებრივი დამცველის 4 თანაშემწისაგან.

## თავი II. მომხმარებელთა უფლებების დარღვევის გამოვლენილი ფაქტები და პრობლემათა ანალიზი

2007 წელს მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში რეგისტრირებულ იქნა 447 განცხადება, აქედან 394 ელექტროენერგეტიკაში და 53 ბუნებრივი გაზის სექტორში მომხმარებელთა დარღვევებს ეხება.

ზემოაღნიშნული განცხადებების, აგრეთვე საჯაროდ ცნობილი ინფორმაციების საფუძველზე შესწავლილ იქნა ენერგეტიკული სექტორის ლიცენზიატა მიერ მომხმარებელთა უფლებების დარღვევები 2007 წლის განმავლობაში, რათა მიგველო სრულყოფილი ინფორმაცია, თუ რა სახის დარღვევებს ჰქონდა ადგილი თითოეული კომპანიის მხრიდან. ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ



ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი კომპანიები მეტწილად იმეორებენ ისეთივე სახის დარღვევებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ 2006 წლის განმავლობაში, ეს დარღვევებია:

- აღრიცხვის კვანძის შემდგომ დაკვირვების შედეგად მიღებული ფაქტიური მოხმარებული ელექტროენერჯის ოდენობის მიხედვით პირობითად დარიცხული თანხების გადაანგარიშების უსაფუძვლო გაჭიანურება და შესაბამისად, კომისიის 2001 წლის 20 სექტემბრის 10 დადგენილების და ამავე წლის 31 დეკემბრის 15 დადგენილების მოთხოვნათა დარღვევა;
- ირიბი ზეწოლის გზით, კერძოდ ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტით გაუთვინციობიერებელი ელექტროენერჯის მომხმარებლების იძულება ხანდაზმული დავალიანებების აღიარებაზე შემდგომ ვალის რესტრუქტურისა და ხელშეკრულების გაფორმებით;
- ე.წ. კომუნალური (საერთო) მრიცხველებთან დაკავშირებული პრობლემები და მის მიხედვით დარიცხული თანხების საფუძვლიანობა;
- საფეხურეობრივი ტარიფების გამოყენებით გამოწვეული პრობლემები იმ რეგიონებში, სადაც მოხმარებლებს აქვთ გამართული აღრიცხვის კვანძი;
- ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების თაობაზე აქტის შედგენისას დადგენილი წესების დარღვევა და მათ შორის, უკანონო მომხმარებლის არასრულყოფილი იდენტიფიცირება;
- ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების გამოვლენის შემთხვევაში დატაცების პერიოდზე გამანაწილებელი კომპანიის მიერ აბონენტისათვის დაუსაბუთებლად დიდი ოდენობის (900-1000 მ<sup>3</sup>) ბუნებრივი გაზის მოხმარებულად დარიცხვა ერთჯერადი აქტებით;
- ირიბი ზეწოლის გზით მომხმარებლების ხარჯზე ბუნებრივი გაზის მრიცხველების შემოწმების ან შეცვლის დავალდებულება;
- ბუნებრივი გაზის მომხმარებლებისათვის დაუსაბუთებელი უარი დავალიანების რესტრუქტურისა და ხელშეკრულების ან რესტრუქტურისა და ხელშეკრულების წინასწარ მიუღებელი პირობების შეთავაზება;
- არასწორედ წაკითხული ანათვლების შესაბამისად შეცდომით დარიცხული თანხების კორექტირების დაგვიანება;

- ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის განაწილების ქსელებზე ახალი მოხმარებლების მიერთების გაუმართლებლად მაღალი საფასური იმ დროს, როდესაც განაწილების ლიცენზიატის ფაქტიურად გაწეული ხარჯები მოთხოვნილ თანხაზე რამოდენიმეჯერ ნაკლებია;
- მომხმარებელთა განცხადებების განხილვის ვადების გაუმართლებლად გაწევა.

ქვემოთ მოყვანილია კონკრეტული ლიცენზიატის საქმიანობისას გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და მომხმარებელთა უფლებების დარღვევის ფაქტების ანალიტიკური ანგარიში.

სამწუხაროდ, ამ ანგარიშში ვეღარ აისახა იმ თანხის ოდენობა, რა თანხითაც დასაბუთებული პრეტენზიის შემთხვევებში მოხდა თანხების კორექტირება, ვინაიდან განაწილების ლიცენზიატების მხრიდან 2007 წლის განმავლობაში აღარ ხდებოდა ასეთი სახის ინფორმაციის მოწოდება საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში, ხოლო შეტყობინება როგორც წესი, შეიცავდა მხოლოდ მითითებას, რომ აბონენტის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. აღნიშნულის გამო ანგარიშს აღარ ერთვის თან შესაბამისი დიაგრამები.

### **1. ს.ს. „თელასი“**

2007 წელს ს.ს. „თელასში“ ირღვეოდა მომხმარებელთა უფლებებს, რაც დასტურდება მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში ასობით შემოსული განცხადებითა და საჩივრით. განვლილი პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა სხვადასხვა ხასიათის დარღვევები, რომელთა უმრავლესობა აღმოიფხვრა ჩვენი სამსახურის უშუალო ჩარევის შედეგად.

- ს.ს. “თელასი”-ს მხრიდან ძირითადად გამოიკვეთა შემდეგი სახის დარღვევები:
- როგორც 2006 წელს, 2007 წლის განმავლობაშიც ასევე აქტუალური იყო ს.ს. “თელასი” მიერ ელექტროენერჯის მომხმარებლებისათვის 1999 წლიდან ინდივიდუალურ გამრიცხველიანებამდე პირობითად (არსებული მეთოდოლოგიის შესაბამისად) დარიცხული ელექტროენერჯის გადასახადი, რაც ხშირ შემთხვევებში იმაზე გაცილებით მეტ თანხას შეადგენდა, ვიდრე მომხმარებელი ფაქტიურად მოიხმარდა. თავის მხრივ, ეს იწვევდა

აბონენტების აშკარა და სამართლიან უკმაყოფილებას. ამ პრობლემას ხშირ შემთხვევაში ამძაფრებდა ის გარემოება, რომ ს.ს. „თელასი“-ს ბიზნეს-ცენტრებში მომხმარებლებს არ მიეწოდებოდათ სრულყოფილი ინფორმაცია აბონენტის იმ უფლებების შესახებ, რომელიც მათ აძლევდა შესაძლებლობას, მოეთხოვათ მრიცხველის დადგმიდან დაკვირვების პერიოდის შედეგად მიღებული მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით წინა წლების გადაანგარიშება. აღნიშნული პრობლემის სამართლიანად გადაწყვეტისათვის საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის უშუალოდ ს.ს. „თელასი“-ს სათაო ოფისისათვის მიმართვის შედეგად რამოდენიმე ათეული მომხმარებლისათვის განხორციელდა პირობითად დარიცხული თანხების გადაანგარიშება.

უნდა აღინიშნოს, რომ ელექტროენერგიის უმრიცხველოდ მოხმარების პრობლემა საბოლოოდ მოგვარებული დღემდე არ არის, ვინაიდან ს.ს. „თელასი“-ს სამოქმედო არეალში დღესაც არიან ასეთი კატეგორიის მომხმარებლები, რომლებიც არ არიან ინდივიდუალურად გამრიცხველიანებულნი და ეს პრობლემა დროულ გადაწყვეტას საჭიროებს, ვინაიდან მრიცხველის არმქონე აბონენტები ელექტროენერგიის საფასურის ანგარიშსწორებას სწორედ იმ ტარიფით ახორციელებენ, როგორც სხვა აბონენტები და შესაბამისად, მათ მიერ გადასახდელი საფასური გამრიცხველიანებისათვის ინვესტირებული თანხების კომპონენტსაც მოიცავს; აქედან გამომდინარე, პირობითად დარიცხული ელექტროენერგიის პრობლემა ალბათ აქტუალური იქნება 2008 და 2009 წლების განმავლობაშიც;

- უმრიცხველოდ რეგისტრირებული აბონენტებისათვის (რომელთაც მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობა ერიცხებათ პირობითად) ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ერთჯერადი აქტების საფუძველზე დამატებითი თანხების დარიცხვა დროის გარკვეულ მონაკვეთში (როგორც წესი – სალამოს, ანუ როდესაც ელექტროენერგიის მოხმარების ყველაზე აქტიური პერიოდია) გაზომილ სადენში გამავალი ძაბვის მიხედვით.

აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ ს.ს. „თელასი“-ს ტექნიკური პერსონალი და აქტის შედგენის შემდგომ, ამავე საზოგადოების ბიზნეს-ცენტრების ხელმძღვანელობა არასწორად განმარტავს კომისიის 2001 წლის 31 დეკემბრის 15 დადგენილებით დამტკიცებულ მეთოდისას „სააბონენტო,

საბიუჯეტო და კომერციულ სექტორში ალურიცხავი ელექტროენერჯის დარიცხვის თაობაზე“, აგრეთვე „ფიქსირებული გადასახადის მიხედვით ელექტროენერჯის საფასურის გადახდის წესის შესახებ“ და იმის მაგივრად, რომ ამ მომხმარებლების პირად ბარათებზე დარიცხვა განახორციელონ მხოლოდ პირობითი დარიცხვის წესით, პარალელურად იყენებენ მეთოდის არასათანადო პუნქტებს და მომხმარებლებს ერთჯერადი აქტის საფუძველზე არიცხავენ დამატებით გადასახადს ისეთი სახით, თითქოს ამ მომხმარებლებს მოწყობილი ჰქონდათ არალეგალური ხაზი და ისინი წარმოადგენდნენ ელექტროენერჯის უკანონო მომხმარებელ კომერციულ პირს;

- განცხადებათა გარკვეული ნაწილი ეხება ძველი დავალიანების გადაუხდელობის შედეგად წარმოქმნილ პრობლემას, რაც ხშირ შემთხვევაში ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტას იწვევს.

საზოგადოებრივი დამცველის სამსახური აქტიურად ცდილობს დაეხმაროს ასეთი კატეგორიის მომხმარებლებს დავალიანების რესტრუქტურისაში და აღუდგინოს მათ ელექტროენერჯია. საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ჩარევის შედეგად აბონენტებთან კომპანია დებს ხელშეკრულებას დავალიანების მაქსიმალურად გრძელ პერიოდზე განაწილვადების თაობაზე, რადგან მომხმარებელმა, დავალიანების ერთდროულად დიდი ოდენობით წარმოქმნის შემთხვევაში, მიმდინარე გადასახადთან ერთად შეძლოს ეტაპობრივად დაფაროს არსებული ვალი და ამით ხელი შეუშალოს ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტას;

- უნდა აღინიშნოს, რომ 2007 წელს შემოსულ განცხადებებს შორის შედარებით იკლო ისეთი სახის საჩივრებმა, რომლებიც შეეხებოდა უძრავი ქონების გასხვისების შემდგომ ახალი მესაკუთრისათვის ძველი მესაკუთრის დავალიანებას დარიცხვას და ამ თანხების ახალი მფლობელებისაგან ამოღების მცდელობას ელექტროენერჯის გათიშვის გზით. სამწუხაროა, მაგრამ მსგავსი შემთხვევების მიმართ არ არსებობს ერთიანი სასამართლო პრაქტიკა და შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე კომპეტენტურ ორგანოს, სადაც ერთგვაროვნად წყდება ასეთი შემთხვევები, წარმოადგენს საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია;

- ისევე როგორც 2006 წელს, 2007 წელსაც აქტუალური იყო საკითხი ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტის, მის საფუძველზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტის შედგენისა და მათგან გამომდინარე შედეგების გამიჯვნის შესახებ. კომპანიის წარმომადგენლები აქტის შედგენისას სრულყოფილად არ განუმარტავენ ელექტროენერჯის უკანონო მომხმარებლებს, რომ ელექტროენერჯის აღრიცხვიანობის შემოწმების აქტი არის საფუძველი, რომ დაანგარიშებულ იქნეს უკანონოდ – არალეგალური ხაზით მოხმარებულ ელექტროენერჯის ხარჯი, რომელიც ს.ს. “თელასი“-ს მიერ დამატებით იქნება დარიცხული მომხმარებლებსათვის, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტი წარმოადგენს სპეციალური დელეგირების საფუძველზე შედგენილ ადმინისტრაციულ აქტს, რის საფუძველზეც საერთო სასამართლოს მიერ დამრღვევს ადმინისტრაციული სახდელის შეეფარდება სანქცია – 600 ლარის ოდენობით;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის აქტთან დაკავშირებით ცალკე აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: რიგ შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის აქტი შედგენილია არასრულყოფილად, უფრო ზუსტად, იდენტიფიცირებული არ არის უკანონო მომხმარებელი, რაც ხშირ შემთხვევაში იწვევს სასამართლოში მესამე პირების დაბარებას. ხშირია შემთხვევები, როდესაც ელექტროენერჯის დატაცების ფაქტს არ აქვს ადგილი და მომხმარებელთა მიერ საზოგადოებრივი სამსახურისადმი მომართვის შემთხვევაში, საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის წარმომადგენლების სასამართლოში საქმეთა განხილვაში მონაწილეობის შედეგად აბონენტების მიმართ საქმის წარმოება წყდება სამართალდარღვევის არარსებობის გამო;
- 2007 წლის განმავლობაში ისევ აქტუალურია პრობლემა, რომელიც წარმოიშვა კომისიის 2006 წლის 15 მაისის №18 დადგენილების საფუძველზე ტარიფის გაზრდის, ამავდროულად არაგამჭოლი საფეხურებრივი ტარიფის შემოღებამ და საფეხურებრივი მოხმარების 30 დღიან ვადაზე განსაზღვრამ. ამას ემატება ის პრობლემა, რომ ს.ს. “თელასი“-ს წარმომადგენლები ხშირ შემთხვევაში მრიცხველების ანათვლებს ვერ (მომხმარებელთა მტკიცებით – არ) იღებენ ერთსა და იმავე დღეს, რაც

ნათლად ჩანს მომხმარებლის სახელზე მისულ ქვითარში და ეს იწვევს მომხმარებელთა პროტესტს. მომხმარებლების აზრით, ადგილი აქვს მრიცხველის ჩვენების აღებას ისეთი გათვლით, რომ მათი მოხმარება თვეში ასცდეს I ან II საფეხურს. (ეს პრობლემა ყველაზე მეტად გამოჩნდა 2008 წლის დასაწყისში. როდესაც მრიცხველის ანათვლების აღება მოხდა 10-12 დღის დაგვიანებით);

ს.ს. „თელასი“-ს განმარტებით, არსებული პირობების შემთხვევაში შეუძლებელია 30 კალენდარულ დღეზე ზუსტად მოხდეს ჩვენების აღება, ხოლო ჩვენების აღების შემდგომ ხორციელდება მომხმარებელი ელექტროენერგიის რაოდენობის გაყოფა იმ დღეების რაოდენობაზე, რომელიც გავიდა წინა ჩვენების აღებიდან და მრავლდება 30 დღეზე. თუ ასეთი სახის დაანგარიშებული რაოდენობა პირველ ან მეორე საფეხურით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე ნაკლებია ან მეტია, ხდება შესაბამისი საფეხურის ტარიფის მიყენება. საზოგადოებრივი დამცველის სამსახური მიიჩნევს, რომ ტარიფის გამოყენება და შესაბამისი საფეხურების მიყენება დღეს მოქმედი წესის თანახმად და არსებული ტექნიკური რეალობიდან გამომდინარე შეუძლებელია დარეგულირდეს სხვა სახით, მაგრამ ამავედროულად, ს.ს. „თელასი“-ს თანამშრომლების მიერ ჩვენების აღება კონკრეტულ მრიცხველზე უნდა განხორციელდეს თვის ერთსა და იმავე დროს, რომ გამოირიცხოს მომხმარებელთა სამართლიანი გულისწრობა ანათვლების აღების 30 დღიანი ვადის დარღვევის გამო. უპირანი იქნება, რომ თავის მხრივ, ს.ს. „თელასი“-მა მომხმარებელთა სრულყოფილად ინფორმირების მიზნით შეცვალოს ქვითარში მითითებული ინფორმაციის ფორმატი და სრულყოფილად მიუთითოს ქვითარზე, თუ როგორ ხდება მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის და შესაბამისი საფეხურის ტარიფის მიყენება (ანუ, მოხმარებული კილოვატ-საათების რაოდენობა გაიყოს 30-ზე და გამრავლდეს გასული დღეების რაოდენობაზე), ან ქვითრის მეორე მხარეს დეტალურად და სრულყოფილად მიუთითოს ზემოაღნიშნული მეთოდოლოგია;

- საფეხურებრივმა ტარიფმა ასევე დიდი პრობლემები წარმოშვა სადარბაზოს განათების ტარიფთან დაკავშირებით. სადარბაზოს განათებისათვის დამონტაჟებულ ელ.მრიცხველზე ელენერგიის საფასურის დაანგარიშება

ხორციელდება კომისიის 2006 წლის 15 მაისის №18 დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ტარიფით, რაც საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს მიაჩნია არასწორად, ვინაიდან საყოფაცხოვრებო სახლის სადარბაზოს განათება არ წარმოადგენს საბიუჯეტო ან კომერციულ აბონენტს და კომპანიამ დარიცხვა უნდა აწარმოოს ხსენებული დადგენილების მე-12 მუხლის და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, როგორც საერთო მოხმარების მრიცხველების მქონე აბონენტების (მოსახლეობის) ინდივიდუალური მრიცხველების გარეშე მოხმარებული ელექტროენერგია და შესაბამისად, გამოყენებული უნდა იქნეს პირველი საფეხურით (100 კვტსთ-მდე) დადგენილი ტარიფი (13,48 თეთრი დღე-ს ჩათვლით).

- დღემდე არსებობს პრობლემები იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართებაში. პრობლემა კი ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ კომპაქტურად ჩასახლებული დევნილების ნაწილი დღემდე არ არის ინდივიდუალურად გამრიცხველიანებული და შესაბამისად, ს.ს. „თელასის“ საინფორმაციო-სააბონენტო ბაზაში ისინი არ ირიცხებიან ინდივიდუალურ აბონენტებად. ხშირად, აბონენტად რეგისტრირებულია ის დაწესებულება, სადაც დროებით იძულებით გადაადგილებული პირები არიან შესახლებულნი, რაც იმ შემთხვევაში, თუ ამ შენობაშივე არსებობენ სხვა პირები (დამქირავებელი ფიზიკური თუ იურიდიული პირები), ხშირად იწვევს უთანხმოებას ე.წ. აბონენტსა და ლტოლვილებს შორის, ვინაიდან აბონენტის მიერ არ ხდება ლტოლვილთა გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში გაწეული დანაზოგის გაანგარიშება და გვიანი შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, როდესაც ელექტროენერგიის მოხმარება იმატებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს დამატებით სთხოვენ თანხების გადახდას. ეს სიტუაცია 2007 წლის ბოლოს გარკვეულწილად მოგვარებულ იქნა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ, როდესაც მაგალითად ბაგებში სამინისტროს დაფინანსებით გამრიცხველიანდა იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური ჩასახლება, მაგრამ ამ მიმართულებით სამუშაო კიდევ ბევრია და იმედია, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ს.ს. „თელას“-თან ერთად კიდევ გააგრძელებს ერთობლივ სამუშაოებს;

- დაკეტილ ბინებსა და იქ არმცხოვრებ მფლობელებისათვის პირობითი დარიცხვების შესახებ შემოსულ საჩივრებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შუამდგომლობით და არ ცხოვრების ფაქტის დამამტკიცებელი საბუთების წარმოდგენის შედეგად განხორციელდა დარიცხული თანხის აბონენტთა ბრუნვის ისტორიებში კორექტირება, არცხოვრების პერიოდის გათვალისწინებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა არ ცხოვრების ფაქტი არ დადასტურდა და შესაბამისი არგუმენტებით იქნა გაქარწყლებული;
- როგორც 2006 წელს, ასევე 2007 წელსაც არსებობდა ს.ს. „თელასი“-ს ბრალეულობით მომხმარებლისათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებული საჩივრები, რომლებიც ძირითადად გამოიხატებოდა მომხმარებელთა განცხადებების განხილვის პროცედურების დიდი ხნით გაწელებით ან საერთოდ არგანხილვით.  
 ზოგადად აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა (გარდა განხილვის ვადების დარღვევისა) სცდება მხოლოდ ნორმატიული აქტით რეგულირების საკითხს და შესაბამისად, ამ კატეგორიის მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას საზოგადოებრივი დამცველის სამსახური აპირებს სასამართლო სისტემაში დავების წარმართვის გზით. რაც შეეხება მომხმარებელთა განცხადებების განხილვის ვადების გაუმართლებლად გაწევას, ეს საკითხი დეტალურად არის დარეგულირებული „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესებ“-ის პროექტით და ამ წესების ამოქმედებისთანავე ყველა გამანაწილებელი ლიცენზიატი (მათ შორის ს.ს. „თელასი“-ც შეიზღუდება ორი კვირის ვადით, რაც მნიშვნელოვნად დააჩქარებს მსგავსი საკითხების გადაწყვეტას.
- მიუხედავად იმისა, რომ დიდი რაოდენობის წერილობითი განცხადებები საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოსული არ ყოფილა (ამ თემაზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ 2 განცხადება), მომხმარებლების სიტყვიერი განცხადებებიდან გამომდინარე შეიძლება იმის დასკვნა, რომ გარკვეული პრობლემები წარმოეშვათ პირებს, ვისაც სურვილი ჰქონდათ და ახლაც აქვთ გახდნენ ს.ს. „თელასი“-ს აბონენტი, ხოლო ამ პრობლემების საფუძველი გახდა კომისიის 2007 წლის 20 ივლისის 12 დადგენილება, რომლის თანახმადაც ს.ს. „თელასი“-ს დაუდგინდა 10(6) კვ და 380/220 ვ



ძაბვის საფეხურის გამანაწილებელ ქსელებზე ახალი მომხმარებლების მიერთების საფასური. რეალურად აღმოჩნდა, რომ ს.ს. „თელას“-მა საყოფაცხოვრებო მომხმარებლად აბონენტის აყვანის დროს ანგარიში ხდებოდა 4-8 კილოვატსაათის მოთხოვნაზე, რაც მოსახლეობის უმეტეს ნაწილს აყენებდა საკმაოდ სერიოზული დანახარჯის წინაშე. უთუოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში მზადდება პროექტი ელექტროენერჯის გამანაწილებელ ქსელებზე ახალი მომხმარებლების მიერთების ახალი საფასურის განსაზღვრის თაობაზე ყველა გამანაწილებელი ლიცენზიატისათვის, რაც ამ პრობლემას გადაწყვეტს და მოაქცევს ერთიან ნორმატიულ სივრცეში.

–

ცალკე უნდა აღინიშნოს, რომ ს.ს. «თელასი» დღემდე აგრძელებს ე.წ. პასუხის გაუცემლობის პოლიტიკას ზოგიერთ განცხადებებზე და მოთხოვნებზე, მათ შორის მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მოთხოვნებზე სხვადასხვა ინფორმაციის მიწოდებისა თუ დარღვევის გამოძწვევ მიზეზებზე და როგორც წესი, მსგავსი შემთხვევები შეეხება ისეთი სახის ინფორმაციას, რომელთაც შესაძლოა დაადატურონ ს.ს. „თელასი“-ს მხრიდან სხვადასხვა ნორმატიული აქტების დარღვევის ფაქტები. ეს საკითხი მოითხოვს რაიმე სახით გადაწყვეტას და ამ მიმართულებით მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველი გაარგძელებს მუშაობას საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან.

ზოგადად, ს.ს. „თელასი“-ს მიერ მომხმარებელთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში საზოგადოებრივი დამცველის სამსახურისაგან რეაგირების გარეშე არ დარჩა არცერთი მომხმარებლის მოთხოვნა. ზოგჯერ კორესპონდენციის, ზოგჯერ ზეპირი მოსმენების (ე.წ. მუშა-შეხვედრა), კომისიის საჯარო სხდომებზე განხილვის საშუალებით და სასამართლოში საქმისწარმოებით მოგვარებულია პრობლემები, თუმცა ჩვენი სამსახური დღესაც აქტიურად ცდილობს პერმანენტულად საკანონმდებლო ცვლილებების დონეზე შეამციროს მომხმარებელთა ინტერესების დარღვევის ფაქტები და შეიმუშავოს რეკომენდაციები.

## 2. ს.ს. „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“

მიუხედავად იმისა, რომ ს.ს. „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“-სთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 2006 წლის განმავლობაში იქნა მიღებული გადაწყვეტილება ამ კომპანიის აქტივების პრივატიზაციის შესახებ, ელექტროგამანაწილებელი ქსელების გადაცემა და ახალი მფლობელის, ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს სახელზე განაწილების ლიცენზის გაცემა განხორციელდა მხოლოდ 2007 წლის ზაფხულში და შესაბამისად, 2007 წლის 30 ივნისამდე ელექტროენერჯის განაწილებას ახორციელებდა თვითონ ს.ს. „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“ და შესაბამისად, მის განაწილების არეალში არსებული პრობლემები, აგრეთვე მომხმარებლების მიერ საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შეტანილი განცხადებები გაყოფილია ორ ნაწილად და პირველი ექვსი თვის განმავლობაში მოიცავს უშუალოდ ს.ს. „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“-ს, ხოლო დანარჩენი პერიოდი დაწყებული 2007 წლის 1 ივლისიდან, როგორც სხვა განაწილების ლიცენზიატზე შემოსული განცხადებები გამოყოფილია ცალკე და ასახულია როგორც პრეტენზიები ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯია“-ს მიმართ.

ზემოაღნიშნულის გამო ს.ს. „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“-სთან მიმართებაში საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოსული საჩივრების საერთო რაოდენობა ბევრად ნაკლებია, ვიდრე 2006 წელს, თუმცა საჩივრების თემატიკა იგივეა, რაც იყო 2006 წელს.

ს.ს. „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“-ს მხრიდან ძირითადად გამოიკვეთა შემდეგი სახის დარღვევები:

- საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 იანვრის 1 დადგენილებით დამტკიცებული «ს/ს „საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის“ საერთო მოხმარების მრიცხველის მქონე აბონენტების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესი»-ს დარღვევები. კერძოდ, გამართული აღრიცხვის მქონე პირისათვის მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის დარიცხვა საერთო მრიცხველის მიხედვით, საერთო მრიცხველის მქონე მომხმარებლისათვის

ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტა იმ შემთხვევაში, თუ საერთო მრიცხველზე ჩართულ რამოდენიმე მომხმარებელს გადახდილი არ აქვს ელექტროენერჯის საფასური, საერთო მრიცხველზე მისაერთებელ აბონენტთა მაქსიმალური რაოდენობის დარღვევები, დენის ტრანსფორმატორების დაზიანების აღდგენის გაუმართლებლად დიდი ხნით დაგვიანება და სხვა წვრილმანი დარღვევები.

### **3. შპს „აჭარის ენერჯოკომპანია“**

შპს «აჭარის ენერჯოკომპანია»-სთან დაკავშირებითაც 2006 წლის განმავლობაში მიღებული გადაწყვეტილება იქნა ამ კომპანიის აქტივების პრივატიზაციის შესახებ და ელექტროგამანაწილებელი ქსელების გადაცემის შემდეგ, ანუ 2007 წლის 1 ივლისიდან ეს რეგიონი შევიდა ქსელების ახალი მფლობელის, ს.ს. „ენერჯო-პრო ჯორჯია“-ს სალიცენზიო არეალში.

2007 წლის განმავლობაში შპს „აჭარის ენერჯოკომპანი“-ის მომხმარებლებისაგან საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში განცხადებები არ შემოსულა, რაც ალბათ აიხსნება რეგიონის თბილისიდან დიდი მანძილით დაშორებით და მომხმარებლებისათვის სამსახურის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობით.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საჯაროდ ცნობილი ინფორმაციების (ტელევიზია და პრესა) და ჟურნალისტებთან უშუალო კონტაქტის შედეგად მიღებული ინფორმაციების საფუძველზე შეიძლება იმის დასკვნა, რომ შპს „აჭარის ენერჯოკომპანი“-ის მხრიდანაც ჰქონდა ადგილს მომხმარებელთა უფლებების დარღვევებს და ეს ძირითადად გამოიხატებოდა მომხმარებელთათვის ელექტროენერჯის უსაფუძვლო შეწყვეტით.

### **4. ს.ს. „ენერჯო-პრო ჯორჯია“**

2007 წლის 1 ივლისის, ანუ მას შემდეგ, რაც განხორციელდა ს.ს. „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანი“-ის და შპს „აჭარის ენერჯოკომპანი“-ის აქტივების ს.ს. „ენერჯო-პრო ჯორჯია“-სათვის გადაცემა, თითქმის

ყველა პრობლემამ, რომელიც არსებობდა ს.ს. „გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერჯოკომპანია“-ში, თავი იჩინა ს.ს. „ენერჯო-პრო ჯორჯია“-ს საქმიანობის პერიოდშიც, თუმცა ამ პერიოდში მარეგულირებელი კომისიის მიერ უკვე დამტკიცებული იყო ახალი დროებითი წესი „ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“.

2007 წლის 1 ივლისიდან 31 დეკემბრის ჩათვლის ძირითადათ გამოიკვეთა შემდეგი სახის დარღვევები:

- გამართული აღრიცხვის მქონე მომხმარებლისათვის მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის დარიცხვა საერთო მრიცხველის მიხედვით;
- საერთო მრიცხველზე მიერთებულ აბონენტთა მაქსიმალური რაოდენობის გადამეტება;
- გამართული აღრიცხვის მქონე მომხმარებლების საერთო მოხმარების მრიცხველით აღრიცხვაზე გადაყვანა;
- ინდივიდუალური აღრიცხვის მოწყობისათვის პრაქტიკულად შეუსრულებელი ტექნიკური პირობების დადგენა.

ს.ს. „ენერჯო-პრო ჯორჯია“-ს სალიცენზიო არეალისა და მომხმარებელთა რაოდენობის, აგრეთვე პრესისა და ტელევიზიის მეშვეობით გაშუქებულ ინფორმაციათა გათვალისწინებით, საზოგადოებრივი დამცველის სამსახური ასკვნის, რომ სამსახურში შემოსული საჩივრების ოდენობა რეალურად არ ასახავს იმ დარღვევებს და მომხმარებელთა პრეტენზიებს, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 7 თვიანი პერიოდის განმავლობაში, რაც იგივე მიზეზებით უნდა აიხსნას, რა მიზეზებსაც ჰქონდა ადგილი შპს „აჭარის ენერჯოკომპანია“-სთან მიმართებაში, კერძოდ ბევრი რეგონის თბილისიდან დიდი მანძილით დაშორებით და მომხმარებლებისათვის საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის შესახებ ინფორმაციის მიუწოდებლობით.

აქვე უნდა აღინიშნოს რომ ს.ს. „ენერჯო-პრო ჯორჯია“-ს მმართველობის მიერ გადადგმულ იქნა საკმაოდ სერიოზული ნაბიჯი, რათა კომპანიაში შექმნას აბონენტთა მომსახურების სტანდარტები და დაიწყოს მომხმარებელთა მომსახურების ცენტრების

გახსნა. ჩვენს ხელთ არსებულ ინფორმაციით ამ პერიოდისათვის გახსნილია 30-ზე მეტი ცენტრი და მათი გახსნა კიდევ გრძელდება. ამ პროცესმა თავისთავად უნდა გამოიწვიოს მომხმარებელთა უფლებების დარღვევების მკვეთრად შემცირება და მომხმარებლების პრეტენზიების დროული გადაწყვეტა ადგილზევე.

### **5. ს.ს. „კახეთის ენერჯოდისტრიბუცია“**

უნდა ითქვას, რომ ს.ს. „კახეთის ენერჯოდისტრიბუცია“-სთან დაკავშირებული პრობლემებს თითქმის აქვთ იგივე სტრუქტურა, როგორც იყო 2006 წლის განმავლობაში.

მომხმარებელთა საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოსულ განცხადებები ძირითადად ეხებოდა:

- საერთო მრიცხველით დარიცხული თანხების სამართლიანობას;
- ინდივიდუალური აღრიცხვის მქონე აბონენტებისათვის დამატებითი თანხების დარიცხვას.

2007 წლის 31 ივლისის საქართველოს ენერჯეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ 15 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა «სს „კახეთის ენერჯოდისტრიბუციის“ საერთო მოხმარების მრიცხველის მქონე მომხმარებლების მიერ ინდივიდუალური მრიცხველის გარეშე მოხმარებული ელექტროენერჯის რაოდენობის განსაზღვრის დროებითი წესი» და ამავე დადგენილებით წესის მოქმედების ვადა ცალკეულ გაუმრიცხველიანებელი მომხმარებლებისათვის: ახმეტის, ყვარლის, დედოფლისწყაროს და ლაგოდეხის რაიონებში – 2007 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო სხვა რაიონებში 2008 წლის 1 ივლისამდე.

სამწუხაროდ, მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი სამსახური 2007 წლის ანგარიშის შედგენის მომენტისათვის არ ფლობს ინფორმაციას, ზემოაღნიშნულ დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში დასრულდა თუ არა მომხმარებლების ინდივიდუალური გამრიცხველიანება, მაგრამ საზოგადოებრივი დამცველის სამსახური 2008 წლის განმავლობაში აპირებს დეტალურად შეისწავლოს სს „კახეთის

ენერგოდისტრიბუციის სალიცენზიო არეალში მომხმარებელთა უფლებების მდგომარეობა.

### ზოგადად ელექტროგანაწილების სექტორის შესახებ

მომხმარებელთა უფლებების დამცველის სამსახური მიიჩნევს, რომ როგორც 2006 წელს, ასევე 2007 წლის განმავლობაშიც აქტუალურია საფეხურებრივი ტარიფის ლიმიტის მომატება პირველი საფეხურისათვის მაინც, ვინაიდან 100 კვტ.-სთ მოხმარება ნებისმიერ შემთხვევაში ძალიან მცირეა (დღეში საშუალოდ შეადგენს 3,3 კვტ.-სთ) და მისი გაზრდა 150 კვტ.-სთ-მდე (ანუ დღეში 5 კვტ.-მდე), რაც სოციალურად ხელმოკლე ოჯახებისათვის დამატებითი სოციალური გარანტია იქნება.

უდავოდ მისასალმებელია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მტკიცე ნება, რომ ელექტროენერგეტიკის სექტორში მიღებულ იქნეს ერთიანი წესები “ელექტროენერჯის მიწოდებისა და მოხმარების შესახებ”, რომელიც მკაცრად დაარეგულირებს ელექტროენერჯის მიმწოდებელი საწარმოების საქმიანობას, ვინაიდან ყველა ზემოაღნიშნული პრობლემები, რომლებიც ეხებოდა ს.ს. “თელას“-ს, ს.ს. “საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანია“-ს, ს.ს. “კახეთის ენერგოდისტრიბუცია“-ს და ს.ს. “ენერგო-პრო ჯორჯია“-ს, გამოწვეული მხოლოდ იმ მიზეზით, რომ „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის ძალაში შესვლიდან დღემდე არ გამოცემულა არც ერთი ნორმატიული აქტი, რომელიც დაადგენდა ელექტროენერჯის მიმწოდებელი საწარმოების ერთიან და ერთვაროვან საქმიანობის წესებს, ერთმნიშვნელოვნად დაარეგულირებდა ურთიერთობას მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის, აგრეთვე ქვითრის მეშვეობით მარტივი ხელშეკრულების დადების შემთხვევაში განსაზღვრავდა მიმწოდებლის პასუხისმგებლობას ელექტროენერჯის მიწოდების უწყვეტობაზე, მის ხარისხზე და უხარისხო ელექტროენერჯით მომარაგების შემთხვევაში განსაზღვრავდა მიმწოდებლის მიერ მიყენებული ზარალის ანაზღაურების წესს.

ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ “ელექტროენერჯის მიწოდებისა და მოხმარების წესები”-ს არსებული პროექტის თანახმად, ელექტროენერჯის გამანაწილებელი ლიცენზიატი ვალდებული ხდება შექმნას და აწარმოოს მომხმარებელთა განცხადებების რეგისტრაციის ჟურნალები, ხოლო თვით დაგროვილი ინფორმაცია უნდა გახდეს საჯაროდ ხელმისაწვდომი. აღნიშნული ჟურნალების შექმნის და ინფორმაციის შეგროვების შედეგად ადვილი გახდება მომხმარებელთა უფლებების დარღვევების გამოვლენა, რომელთაც ადვილი აქვთ ყველა გამანაწილებელ ლიცენზიატის საქმიანობაში და საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს სერიოზულად დაეხმარება შექმნას საერთო სურათი მომხმარებელთა უფლების დარღვევის შესახებ იმ მომხმარებელთა პრეტენზიების გათვალისწინებით, რომლებსაც გარკვეული მიზეზების გამო არ მოუმართავთ საზოგადოებრივი დამცველის სამსახურისათვის.

## **6. შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“**

2006 წლის გაზაფხულის, ანუ მას შემდგომ, რაც მოხდა ს.ს. „თბილგაზი“-ს აქტივების გასხვისება და ეს აქტივები გადაეცა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“-ს, მომხმარებელთა პრეტენზიათა კატეგორიების სტრუქტურა, რომელიც საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოდიოდა ს.ს. “თბილგაზი“-ს მუშაობის პერიოდში თითქმის უცვლელი დარჩა და იგივე ტენდენცია შენარჩუნდა 2007 წლის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ უშუალოდ მომხმარებლებისაგან შემოსული განცხადებების რაოდენობა არც ისე ბევრი იყო და ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია შევსებულია საჯაროდ გაშუქებული ფაქტებით. შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“-თან მომხმარებელთა ურთიერთობისას გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები და დარღვევის ფაქტები:

- ყველაზე აქტუალური პრობლემა, რომელიც 2007 წლის განმავლობაში გამოჩნდა, არის შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“-ს წარმომადგენლთა სხვადასხვა (საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის აზრით – მრავალ შემთხვევაში დაუსაბუთებელი) მოტივით წამოყენებული მოთხოვნა მრიცხველის მოხსნის და მომხმარებლის ხარჯზე მისი ლაბორატორიული

შემოწმების თაობაზე. აღნიშნულ მოთხოვნას შპს “ყაზტრანსგაზ-თბილისი” ასაბუთებს იმით, რომ მრიცხველი წარმოადგენს მომხმარებლის საკუთრებას და შესაბამისად, მანვე უნდა გაწიოს ამ მრიცხველთან დაკავშირებული ხარჯები.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური ვერ დაეთანხმება შპს “ყაზტრანსგაზ-თბილისი”-ს ზემოაღნიშნულ მიდგომას, რომ ვინაიდან მრიცხველი, რომელიც შეძენილი იყო უშუალოდ მომხმარებლის მიერ, წარმოადგენს მის საკუთრებას, მომხმარებელი თვითონ არის ვალდებული აწარმოოს ამ მრიცხველის შეკეთება, დაყალიბება და აკრედიტებულ ლაბორატორიაში დამოწმება. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელი წარმოადგენს მრიცხველის მესაკუთრეს, შპს “ყაზტრანსგაზ-თბილისი” ბუნებრივი გაზით მომხმარებლის მომარაგების პროცესში აღრიცხვას აწარმოებს მხოლოდ ამ მრიცხველის მეშვეობით, შესაბამისად იგი ბატონობს ამ ნივთზე და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის თანახმად იგი წარმოადგენს მრიცხველის ფაქტიურ მფლობელს, ხოლო მას, როგორც მფლობელს ეკისრება ყველა ის ვალდებულება, რაც მას დაკისრებული აქვს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2004 წლის 30 სექტემბრის 10 დადგენილებით დამტკიცებულ „ბუნებრივი გაზის მოხმარების წესები“-ს მე-4 და მე-7 მუხლის თანახმად.

მომხმარებლის ნებისმიერი საჩივარი, რომელიც წარმოადგენილი იქნება შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“-ს მიერ იძულებითი წესით მრიცხველის დამოწმების ან შეცვლის თაობაზე (ამის შესახებ აღნიშნულია შემდეგ აბზაცში), მომხმარებელთა ინტერესების დამცველის სამსახურის მიერ განიხილება მხოლოდ ამ კონტექსტში და შპს“ყაზტრანსგაზ-თბილისი“-ს მიერ ნებაყოფლობით აღუსრულებლობის შემთხვევაში გატარებული იქნება ადეკვატური ზომები, მათ შორის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში ადმინისტრაციული წარმოების წესით საქმის წარმართვით.

- მრიცხველის შემოწმების პარალელურად ადგილი აქვს შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“-ს მიერ მომხმარებელთა ირიბ იძულებას მრიცხველის შეცვლაზე, რისთვისაც მომხმარებლებს სთავაზობენ საკუთარი



ხარჯებით შეიძინონ ახალი მრიცხველები და კომპანია ამ მრიცხველებს მათ დაუმონტაჟებს უსასყიდლოდ.

- ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ისეთ შემთხვევას, როდესაც შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“-ს თანამშრომლების მიერ მრიცხველის მოხსნის დროს მრიცხველს ადევს ს.ს. „თბილგაზი“-ს ან შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“-ს ბჯენი, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ უშუალოდ მრიცხველზე დაზიანებულია ერთ-ერთი ქარხნული ბჯენი (რის თაობაზეც აღინიშნება ლაბორატორიულ შემოწმების აქტში), შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ მაინც თვლის, რომ ადგილი ჰქონდა ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარებას და ადგენს აქტს ამის თაობაზე, რასაც მოყვება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აქტის შედგენა.

საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ გამანაწილებელი კომპანიის მიერ მრიცხველზე დადებული ბჯენის მთლიანობა დარღვეული არაა, შეუძლებელია ადგილი ჰქონდეს ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარებას, მიუხედავად იმისა, არის თუ არა დარღვეული მრიცხველის ქარხნული ბჯენების მთლიანობა.

- სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“-ს შესაბამისი სამსახურის მიერ ბუნებრივი გაზის დატაცების შესახებ აქტების ხშირ შემთხვევაში არასწორად ან არაობიექტურად შედგენა და მათ საფუძველზე დარიცხული ჯარიმის ოდენობა (მაგალითისათვის: მომხმარებელს შეუდგინეს აქტი უკანონო მოხმარების შესახებ და დამატებით დაარიცხეს მოხმარებული გაზი 4 სანათურიან გაზქურაზე იმ დროს, როდესაც ამ ქურას ვიზუალურად ეტყობოდა, რომ იგი გამოსული იყო მწყობრიდან და მისი ექსპლუატაცია შეუძლებელი იყო). ბუნებრივი გაზის უკანონო მოხმარების ფაქტის გამოვლენისას, უკანონოდ მოხმარებული გაზის ოდენობის არიცხვისას შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ იყენებს გაზის ხელსაწყოების მაქსიმალურ (ხშირ შემთხვევაში 24 საათიან) გამოყენების პერიოდს, რის გამოც მომხმარებლებს დამატებით გადასახდელად ერიცხებათ 900-970 მ<sup>3</sup> ბუნებრივი გაზი და გაზის ის რაოდენობა, რომელიც მომხმარებელს გადახდილი აქვს მრიცხველის მიხედვით, მხედველობაში არ მიიღება.

- მრიცხველების ლაბორატორიული შემოწმების დასკვნათა საფუძველზე უმრავლეს შემთხვევაში შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ბუნებრივი გაზის უკანონოდ მოხმარებაში გულისხმობს იმ შემთხვევებს, როდესაც მრიცხველის ხუფის დამჭერები არის მოშვებული, მაგრამ არ დასტურდება არც მრიცხველის მექანიზმში შეღწევის კვალი და არც მასზე ფიზიკური ზემოქმედება, ამავდროულად კი მრიცხველს დადებული ჰქონდა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“-ს ბჯენი.

მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური მიიჩნევს, რომ ასეთი შემთხვევებში შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ არღვევს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2004 წლის 30 სექტემბრის 10 დადგენილებით დამტკიცებულ „ბუნებრივი გაზის მოხმარების წესებ“-ს, ვინაიდან ამ წესების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად მხოლოდ განაწილების ლიცენზიატი არის პასუხისმგებელი სწორად დაადოს ბჯენი მრიცხველს და ბჯენის სწორად დადება მრიცხველის ხუფზე თავისთავად გამორიცხავს მრიცხველის მთვლელ მექანიზმში შეღწევას მიუხედავად იმისა, მოშვებულია თუ არა რაიმე დამჭერი.

- შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“-ს მომხმარებლებს აქვთ გარკვეული პრობლემები ვალის რესტრუქტურისა და ციკლისთან დაკავშირებით. ზოგადად, რესტრუქტურისა და ციკლის საკითხი დარეგულირებულია კომისიის 2004 წლის 30 სექტემბრის 10 დადგენილებით დამტკიცებულ „ბუნებრივი გაზის მოხმარების წესები“-თ, მაგრამ იმის გამო, რომ ამ წესებში არსებული ჩანაწერი ბუნდოვანია, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“, როგორც საბაზრო ძალაუფლების მქონე პირი ცალმხრივად განსაზღვრავს ვალის დაფარვის საკმაოდ მცირე პერიოდს. აღნიშნული პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზად საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს მიაჩნია „ბუნებრივი გაზის მოხმარების წესებ“-ში დამატების შეტანა და ამ წესებითვე სავალდებულო პერიოდის განსაზღვრა.
- ასევე პრობლემატურია გაზის გამანაწილებელ ქსელზე ახალი აბონენტების მიერთების საკითხი. გაუგებარია, თუ როგორი მეთოდით ახორციელებენ შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ ან მისი კონტრაქტორი კომპანიები ახალი აბონენტების მიერთების საფასურის დანგარიშებას, რომელიც საკმაოდ

აღმატება ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ლიცენზიატის ფაქტიურ დანახარჯებს.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა შესაძლოა მხოლოდ მარეგულირებელი კომისიის გადაწყვეტილებით და ალბათ ეს უნდა აისახოს „ბუნებრივი გაზის მოხმარების წესებ“-ში.

- გარკვეული სახის პრობლემებს აქვს ადგილი მომხმარებლისათვის ორ კვირიან ვადაში პასუხის გაცემას, როგორც ამას ითვალისწინებს „ბუნებრივი გაზის მოხმარების წესები“. მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური თვლის, რომ ამ პრობლემის ერთადერთი გადაწყვეტის გზა არის მარეგულირებელი კომისიისათვის მიმართვა შესაბამისი შემთხვევის გამოვლენისას მოთხოვნით, დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“-ს ან უშუალოდ მისი ხელმძღვანელის დაჯარიმების თაობაზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად.

რაც შეეხება 2006 წელს არსებულ პრობლემას, რომელიც შეეხებოდა შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“-ს მიერ მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურის წინასწარ გადახდის მოთხოვნას მომხმარებლებისაგან, 2007 წლის განმავლობაში მსგავსი დარღვევები არ დაფიქსირებულა და იმედია, რომ მსგავსი აღარც შემდგომ წლებში არ განმეორდება.

### **7. ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი სხვა კომპანიების საქმიანობა**

შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“-ს გარდა, თბილისში და მთლიანად საქართველოში სულ მოქმედებს ბუნებრივი გაზის განაწილების 62 ლიცენზიატი, ხოლო მათ მომხმარებელთა საზოგადოებრივი დამცველის სამსახურისადმი მომართვების ოდენობა არ იყო დიდი.

ზოგადად, მომხმარებელთა უფლებების დარღვევები შეეხებოდა შემდეგ საკითხებს:

- ბუნებრივი გაზის განაწილების ქსელებთან მიერთების გაუმართლებლად მაღალი საფასურის მოთხოვნა;
- ბუნებრივი გაზის განაწილების ქსელებში ზენორმატიული დანაკარგების მომხმარებლებზე დარიცხვა;
- მომსახურების უკანონოდ შეწყვეტა;
- მომხმარებლისაგან დამატებითი ხარჯების გაწვევის მოთხოვნა მრცხველის მოხსნა-დაყენებაზე და მის ლაბორატორიულ შემოწმებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ 2004 წელს მიღებულ იქნა „ბუნებრივი გაზის მოხმარების წესები“, მასში ვერ მოხვდა და არც სხვა გადაწყვეტილებით არ დარეგულირდა ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელებზე ახალი მომხმარებლის მიერთების საფასურის გაანგარიშება, რაც რეგიონალურ გაზგამანაწილებელ კომპანიებს აძლევს საშუალებას, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მოითხოვონ მაღალი საფასური და პირი, რომელსაც აქვს სურვილი მიიღოს ბუნებრივი გაზი და გახდეს შესაბამისი ლიცენზიატის მომხმარებელი, იძულებულია გადაიხადოს იგი იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ეს საფასური ბევრად (2-4-ჯერ) აღემატება ფაქტიურად გასაწევ ხარჯებს. ხშირ შემთხვევაში ბუნებრივი გაზის მიღების მსურველი პირი თვითონ ყიდულობს მრიცხველს, მიღებს და საჭირო საყრდენებს, ხოლო გაზის გამანაწილებელი ლიცენზიატები ახორციელებენ მხოლოდ მიღების შედუღებას და მრიცხველის ბჯენის დადებას, რაშიც ითხოვენ 300 ლარზე უფრო მეტ თანხას, რაც ჩვენი აზრით არასამართლიანია.

რაც შეეხება ზენორმატიული დანაკარგების მომხმარებლებზე დარიცხვის პრობლემას, ასეთ შემთხვევებს საზოგადოებრივი დამცველის სამსახური მიიჩნევს, როგორც მოქმედი კანონმდებლობის ერთმნიშვნელოვნად დარღვევას. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით, გაზის გამანაწილებელი კომპანიებისათვის დადგენილია ბუნებრივი გაზის დანაკარგის მაქსიმალური ოდენობა – არაუმეტეს 5 %, რომელიც ტარიფის დამტკიცების დროს შეიტანება განაწილების დანახარჯებში და გაითვალისწინება სამომხმარებლო ტარიფში. თუ ადგილი აქვს ზენორმატიულ დანაკარგს, ეს არის მხოლოდ განაწილების ლიცენზიატის მოსაგვარებელი პრობლემა, რაც მათ როგორც დაკისრებული აქვთ ლიცენზიის პირობებით.

ზოგიერთ ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი კომპანიას გამოყვანილი აქვს რალაც თავისი მათემატიკური მოდელი, რის თანახმადაც მრიცხველის მიხედვით მოხმარებულ ბუნებრივი გაზის რაოდენობა მრავლდება გარკვეულ კოეფიციენტზე – სეზონის მიხედვით 1,02-1,15 (ანუ 2-დან 15 %-მდე) და ასეთი წესით მიღებული ციფრის მიხედვით ახდენენ მოხმარებლებს საფასურს მიუხედავად მრიცხველის ტიპისა და იმისი, არის თუ არა კონკრეტული მრიცხველი შემოწმებული შესაბამისი აკრედიტებული ლაბორატორიის მიერ ტემპერატურულ ცვლილებებზე და აქვთ თუ არა თვის გასაშუალებული ტემპერატურული მონაცემები მიღებული სათანადო წესით.

ამავე თემაზე უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი გაზის მრიცხველის ოპტიმალური მუშაობა როგორც წესი განსაზღვრულია 20 ჩ ტემპერატურისათვის და თუ ტემპერატურამ გადალახა ეს ნიშნული, ამ შემთხვევაში ტემპერატურული ცვლილებების კოეფიციენტი უნდა იყოს 1-ზე უფრო ნაკლები. არც ერთი გაზგამანაწილებელი ლიცენზიატი, რომელიც იყენებს ე.წ. გამზრდელ კოეფიციენტს დაბალი ტემპერატურის გამო, არ ახორციელებს შემამცირებელი კოეფიციენტის გამოყენებას მაღალი ტემპერატურის შემთხვევაში.

ხშირ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული პრობლემიდან გამომდინარეობს მომხმარებლის მომსახურების უკანონოდ შეწყვეტაც.

როგორც შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“-ს შემთხვევაში, ხშირ შემთხვევებში ე.წ. რეგიონალური გაზგამანაწილებელი კომპანიები ყოველგვარ ხარჯებს, რომელიც დაკავშირებულია მრიცხველის მოხსნასთან და დაყენებასთან, მის ლაბორატორიულ შემოწმებასთან და სათანადო წესით დამოწმებასთან, აგრეთვე ლიცენზიატის მოთხოვნის შემთხვევაში მრიცხველის ადგილმდებარეობის შეცვლასთან, აკისრებენ მომხმარებლებს, რაც ასევე უნდა ჩაითვალოს მომხმარებელთა უფლებების დარღვევად, ვინაიდან იმ მომენტიდან, როდესაც ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატი მიაერთებს ახალი მომხმარებელს გამანაწილებელ ქსელებთან და დაარეგისტრირებს მომხმარებლებს აბონენტად, ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მომხმარებლისათვის გაზის მიწოდებასთან, მათ შორის ქსელების

მოდერნიზაცია, მრიცხველის სხვა ადგილას გადატანა ან მისი ლაბორატორიული შემოწმება, ეკისრება მხოლოდ ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატს.

### **თავი III. ნორმატიული ბაზის სრულყოფა**

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში შემოსული საჩივრებისა და განცხადებების საფუძველზე გამოკვეთილი პრობლემების ანალიზით საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის მიერ ინიცირებულ იქნა ახალი ნორმატიული აქტების გამოცემა და ცვლილებები მოქმედ ნორმატიულ აქტებში. სამსახურმა 2007 წელს მონაწილეობა მიიღო „ბუნებრივი გაზის მოხმარების წესებში“ ცვლილებებისა და დამატებების შემუშავებაში.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მხრიდან გამოხატულია მტკიცე ნება 2008 წლის პირველ ნახევარში მიღებულ იქნეს „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები“, რომლის პროექტის შესაბამისად განსაზღვრულია განაწილების ლიცენზიატების მიერ მომხმარებელთა განცხადებების განხილვის ვადა და წესი, საზოგადოებრივი დამცველის სამსახური მიიჩნევს, რომ ამ მომენტისათვის ს.ს. „თელასი“-ს, ს.ს. „ენერგო-პრო ჯორჯი“-ის და ს.ს. „კახეთის ენერგოდისტრიბუცი“-ის საქმიანობის მარგლამენტირებელ ცალკეულ ნორმატიულ აქტებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით დამატებითი ცვლილებების შეტანის აუცილებლობა ამ სტადიაზე არ არსებობს.

ბუნებრივი გაზის განაწილების სექტორთან დაკავშირებით, მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს მიაჩნია, რომ კომისიის 2004 წლის 30 სექტემბრის 10 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მოხმარების წესები“ ვეღარ პასუხობს დღევანდელ რეალობებს და ამ სექტორშიც არსებობს ახალი წესების დამტკიცების საჭიროება, ხოლო თვითონ ახალი წესები შედგენილ უნდა იქნეს იგივე მკაცრი იურიდიული ტერმინოლოგიით და მკაცრი მოთხოვნებით, როგორც არის შედგენილი „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები“-ს პროექტი.

რაც შეეხება მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ინიცირებულ „ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის სექტორში მომხმარებელთა საჩივრების მიღების, გადაწყვეტის პროცედურებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტს“, იმ შემთხვევაში, თუ მიღებულ იქნება „ელექტროენერჯის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები“ იმ რედაქციით, რომელიც არსებობს საბოლოო პროექტის სახით და მიღებული იქნება ახალი წესები „ბუნებრივი გაზის მოხმარების შესახებ“, ამ ორი წესის ამოქმედების შემდეგ საჭირო იქნება გარკვეული ვადით დაკვირვება და იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ განაწილების ლიცენზიატები არღვევენ მომხმარებელთა პრეტენზიების განხილვის ვადებს ან დაუსაბუთებლად, დამატებით მოითხოვენ სხვადასხვა დოკუმენტებს, მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება დადგეს დღის წესრიგში ერთიანი რეგლამენტის მიღების საკითხი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ელექტროენერჯის განაწილების ლიცენზიატები ხშირ შემთხვევაში მომხმარებლებს ტექნიკურ პირობებში მიუთითებენ ისეთ მოთხოვნებს, რომელთა შესრულება პრაქტიკულად შეუძლებელია, ხოლო ეს გამოწვეულია ტექნიკური ხასიათის მარეგლამენტირებელი ნორმატიული აქტის – ენერგობიექტების და სხვა ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის, მოწყობის და მათით სარგებლობის წესების არარსებობით. „ელექტროენერჯეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად ასეთი წესის დამტკიცება შედის საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს კომპეტენციაში და მას მსგავსი დოკუმენტის გამოცემის ვალდებულება დაეკისრა ჯერ კიდევ 2006 წლის ივნისში. სამწუხაროდ, სამინისტროს მიერ მსგავსი ხასიათის დოკუმენტი დღემდე მიღებული არაა, რაც შესაბამის ლიცენზიატებს აძლევს საშუალებას, თვითნებურად და არაერთგვაროვანად განსაზღვრონ ახალი აბონენტების მიერთებისათვის ჩასატარებელი სამუშაოები.

#### **თავი IV. სასამართლო დავები**

2007 წლის განმავლობაში ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის

წარმოებაში იყო სულ 19 საქმე სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში, საიდანაც ადმინისტრაციული და სამოქალაქო კოლეგიებში სასამართლო სხდომა ჩატარდა 13 საქმეზე, მათ შორის მოგებულ იქნა 7 საქმე, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ერთი მომხმარებლის სასარჩელო მოთხოვნა, განუხილველად დატოვებულ იქნა 2 საქმე, არ დაკმაყოფილდა 2 საქმე, და ერთ მომხმარებლის მიერ გამოთხოვილ იქნა მისი საჩივარი სასამართლოდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მიღებულ იქნა მონაწილეობა 4 საქმის განხილვაში, რომელიც ძირითადად შეეხებოდა ფიზიკური პირებისათვის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 96<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, ბუნებრივი გაზის და ელექტროენერგიის დატაცებისათვის ადმინისტრაციული სახდელის სახით 600 ლარის დაკისრების თაობაზე. აღნიშნული კოლეგიის მიერ გაზიარებული იქნა მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის წარმომადგენლების პოზიცია, ყველა საქმეზე კანონსაწინააღმდეგოდ იქნა მიჩნეული განაწილების ლიცენზიების მიერ შედგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები და მომხმარებლები განთავისუფლებულ იქნენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიღებულ იქნა მონაწილეობა სულ 9 სასამართლო განხილვაში, საიდანაც სასამართლოს მიერ ერთი მომხმარებლის მიერ, არაუფლებამოსილი პირის მიერ შეტანილი სარჩელის გამო შეწყვეტილ იქნა საქმის წარმოება, სარჩელის განხილვაში არმონაწილეობის და ახალი რწმუნებულების არარსებობის გამო ერთ საქმეზე ასევე შეწყვეტილ იქნა წარმოება, მომხმარებელთა 3 საჩივარი დაკმაყოფილდა სრულად (მათ შორის ერთი მოწინააღმდეგე მხარის მიერ გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით), ერთი სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მომხმარებლის მიერ გასაჩივრებულ იქნა სააპელაციო წესით (საქმე ჯერ არ განხილულა), ხოლო მომხმარებელთა 2 საჩივარი სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა, ერთი სარჩელი კი გამოთხოვილი იქნა მომხმარებლის მიერ.

სამოქალაქო დავის სახით მიმდინარე დავაში თბილისის საქალაქო საქმეთა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოქ. თამარ ჯანელიძის მიერ სასამართლოში მთავარ



სხლომარე გაცხადებულ იქნა უარი საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის წარმომადგენლის დაცვაზე და შესაბამისად აღნიშნული საქმე, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის წარმომადგენელი მონაწილეობდა საქმის მომზადებაში, არ არის შესული სასამართლო საქმეთა ერთიან სტატისტიკაში.

### **თავი V. ფორმალური წარმოება**

2007 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში იმართებოდა მუშა-შეხვედრები სხვადასხვა ლიცენზიატების წარმომადგენლებთან, მაგრამ 2007 წლის მეორე ნახევარში ეს პრაქტიკა შეწყდა ლიცენზიატების მიზეზით.

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახური მიიჩნევს, რომ შესაბამის სექტორებში მოხმარების წესების მიღების შემდეგ საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში ფორმალური წარმოების ჩატარების აუცილებლობა მუშა-შეხვედრების სახით აღარ იარსებებს და თუ გამოვლენილ იქნება კონკრეტული ლიცენზიატის მიერ მომხმარებელთა უფლების დარღვევა კომისიის მიერ დამტკიცებული შესაბამისი წესების შეუსრულებლობით, ამასთან იგი დადასტურდება დოკუმენტალურად, საზოგადოებრივ დამცველის სამსახური პირდაპირ მიმართავს მარეგულირებელ კომისიას ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შუამდგომლობით მომხმარებელთა უფლებების დამრღვევი ლიცენზიატის ან მისი ხელმძღვანელისათვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 92<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე ადმინისტრაციული სახდელის სახით 5 000 ათასი ლარი ჯარიმის დაკისრების თაობაზე.

### **თავი VI. ადგილზე შემოწმებები**

საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ ეროვნულ კომისიასთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს 2007 წლის განმავლობაში კომისიის წარმომადგენლებთან ერთად მომხმარებელთა განცხადებების შესაბამისად მოუწიათ ადგილზე შემოწმებების ჩატარება საქართველოს სხვადასხვა

რეგიონში როგორც ელექტროენერჯის, ასევე ბუნებრივი გაზის მომხმარებელთა უფლებების დარღვევის გამო.

ზემოაღნიშნული შემოწმებების საფუძველზე შედგა შესაბამისი ოქმები და ლიცენზიატებს მიეცათ მითითებები ან რეკომენდაციები პრობლემების აღმოსაფხვრელად.

## **თავი VII. საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ურთიერთობა მომხმარებლებთან, საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებებთან**

მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს დღიდან მისი დაარსებისა ათასობით მომხმარებელმა მიმართა განცხადებითა და საჩივრით საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის. მომხმარებელთა აქტიურობა საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას ვლინდება. ამის ნათელი დადასტურებაა დამცველის სამსახურისადმი მომხმარებელთა მასიური ხასიათის მიმართვები როგორც დარღვეული უფლების აღსადგენად, ასევე იურიდიული კონსულტაციის მისაღებად საკუთარ უფლება-მოვალეობებში გარკვევისათვის. მომხმარებელთა მიღება ხორციელდება ყოველდღიურად (გარდა დასვენების დღეებისა) და არ არის შეზღუდული რაიმე ფორმით.

საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის წინადადებით, მარეგულირებელი კომისიის მიერ სპეციალურად სამსახურისათვის სათანადო წესით რეგისტრირებულ იქნა ინტერნეტ-საიტი <http://www.pdci.ge>, რომელზედაც ამ მომენტისათვის განთავსებულია მხოლოდ მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის საკონტაქტო ინფორმაცია, მაგრამ სამსახურში მიმდინარეობს მუშაობა მის თემატურ შევსებაზე.

ზემოაღნიშნულ საიტზე მომხმარებლების საფუძველიანი ინფორმირების და ინფორმაციული ვაკუუმის აღმოფხვრის მიზნით განთავსებული იქნება ენერგეტიკასა და წყალმომარაგების სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტები, აგრეთვე სხვადასხვა ტიპის განცხადებების ნიმუშები, მათ შორის ნიმუშები შესაბამისი სექტორის

ლიცენზიატის, საზოგადოებრივი დამცველის სამსახურის, სასამართლოსა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების სახელზე.

ინტერნეტ-საიტის მეშვეობით ასევე შესაძლებელი გახდება განცხადების გამოგზავნა მომხმარებელთა უფლებების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში, რათა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან საჭირო აღარ გახდეს პირადად მისვლა საზოგადოებრივი დამცველის სამსახურში

2007 წლის განმავლობაში მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივ დამცველის სამსახურთან აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს პარლამენტი, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, სახალხო დამცველის აპარატი, ქ. თბილისის საკრებულო და მერიასთან არებული სტრუქტურული ერთეულები, ქ. ქუთაისის საკრებულო და მერია, რეგიონებში მოქმედი ადგილობრივი სამსახურები, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.

